ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

პარასკევი, 28 ივნისი, 2013 №151 (6152) ფასი: 30 თეთრი

28 ივნისიდან!
„ახალი თაობა“ +
საოჯახო ტომი 4
სამზარეულო
2 ლარი და 30 თეთრი




# თბილისის მერიამ და საკრებულომ 50 მილიონ ლარზე მეტი გაფლანგეს!





გვ.5

მერიის მაღალჩინოსნებს ფული ბანკომატებიდან გამოჰქონდათ

## ელისო ჩაფიძე: „პარლამენტის შენობაში უკანონოდ ვიმყოფებით“

— გვ. 3 —

ქუთაისის პარლამენტით პროკურატურა დაინტერესდება





## მიხეილ მაჭავარიანი: „ხელისუფლებამ ნაციონალების განადგურება დაიწყო“

გვ.3



გვ.4

## მანანა ნაჭყებია: „ბიძინა ივანიშვილს ირაკლი ღარიბაშვილი შეცვლის“



## ნანა დევდარიანი: „პაატა ბურჭულაძე პრეზიდენტობისთვის მეცოდება“

გვ.7

შსს თბილისში სისწრაფის განმსაზღვრელი ახალი რადარების ადგილმდებარეობისა და დაშვებული სიჩქარის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს

გვ.6



„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ტომი 3
ბრაზილიური ზღაპრები
6 ლარი




ISSN 1987-9385

4 ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

2 ანდრეს ფოგ რასმუსენი: „დემოკრატია უფრო, მეტია ვიდრე საარჩევნო ყუთი“

5 ნინო ბურჯანაძე: „რომელ დემოკრატიაზე ლაპარაკობს რასმუსენი, რომლის შესახებ კადრების ხილვამაც ყველა შოკში ჩააგდო?“

2 ვაჟა ოთარაშვილი: „კულტურის სამინისტროში საშინელებები ხდება“

# ანდრეს ფოგ რასმუსენი: „დემოკრატია უფრო მეტია, ვიდრე საარჩევნო ყუთი“

ნათია ხურცილავა

**ნატოს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის ორდღიანი ვიზიტი დასრულდა. ამ ვიზიტის შემდეგაც მთავარ კითხვაზე — 2014 წლის სამიტზე მივუახლოვდებით თუ არა ნატოს? პასუხი კვლავ გაუცემელი რჩება. თავის დროზე ივანიშვილმა განცხადება გააკეთა, რომ 2014 წლის ნატოს სამიტზე მაპს მივიღებთ. მას თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებიც დაეთანხმნენ.**

რასმუსენთან დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა გვითხრა, რომ ნატოში გაწევრიანების გამოცდილება მაპის მიღების გარეშეც არსებობს. ივანიშვილის ამ შენიშვნას დაეთანხმა რასმუსენი, მაგრამ იქვე გვითხრა, რომ ნატოს აქვს კრიტერიუმები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოთ.

რამდენად ვაკმაყოფილებთ დემოკრატიის კრიტერიუმებს, ამის ერთ-ერთი ტესტი ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებიც იქნება სხვა შიდა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად. თუმცა, ნატოს მიმართულებით მიმავალ გზაზე მთავარ დაბრკოლებად ექსპერტთა უმრავლესობა რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკას მიიჩნევს.

გუშინ, ნატოს გენერალური მდივანი პარლამენტის წევრებს, სტუდენტებსა და პრეზიდენტს შეხვდა. ნატოს ელჩებმა შეხვედრა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან გამართეს.

— თქვენი ახალი მთავრობა ნამდვილად ძლიერად ახორციელებს თავის ძალისხმევას და რუსეთთან ურთიერთობის დალაგებისკენ ილვწის. ნატო მიესალმება ამ მცდელობებს და ძალისხმევას. ნამდვილად არის ამაში ასახული პოლიტიკური ვალდებულება და რეალისტური გაგება იმ შესაძლებლობებისა, რომელიც არსებობს, მაგრამ როგორც ყველამ ვიცით, ამ ყველაფერს დრო სჭირდება და რუსეთმა უნდა დაუჭიროს ქვეყანას ამ კუთხით მხარი. ჩვენ მივესალმებით საქართველოს ვალდებულებას, რომ არ გამოიყენოს ძალა და რუსეთსაც მოვთხოვეთ, რომ შემხვედრი ნაბიჯები გადმოდგას. ჩვენ ვიზიარებთ წუხილს იმ მიზეზებზე, რომელიც სამხრეთ ოსეთში საზღვრების გადმოწევას გულისხმობს. ასეთი მცდელობები ნამდვილად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რამდენადაც ისინი არიან ამ საერთაშორისო სამართლის კონვენციების წევრები და ასევე, ხელს უშლის მიმოსვლის თავისუფლებას, ქმნის არასაჭირო ზეწოლას და დაძაბულობას. ეს არ არის მისაღები და აუცილებლად უნდა დაბრუნდეს საზღვრები და არ უნდა მოხდეს მათი გადმოწევა. — განაცხადა რასმუსენმა სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე.

ნატოს გენერალური მდივნის აზრით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც დავით ალმაშენებლის თაყვანისმცემელია, მის შემცვლელთან და ასევე პრემიერთან ერთად, წარმატებული კოჰაბიტაციის შემთხვევაში, ახალი საქართველოს დემოკრატიის მშენებელი იქნება.

— ჩვენ გვქონდა საშუალება, შევხვედროდით საქართველოს ლიდერებს, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, არასამთავრობო სექტორისა და მედიის, ასევე უმცირესობების წარმომადგენლებს. მათ გვიჩვენეს, რომ საქართველო იზიარებს დემოკრატიულ ღირებულებებს, რომლებიც ევროატლანტიკურ ერთობას აქვს. ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ხართ ლიდერი, რომელიც მხარს უჭერდა საქართველოს ამ მისწრაფებას ევროატლანტიკურ სივრცეში. მე ვიცი, რომ თქვენ დავით აღმაშენებლის თაყვანისმცემელი ბრძან-



დებით. ოქტომბერში საქართველოში გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის შედეგად თქვენ გადასცემთ ხელისუფლებას და როდესაც ეს მოხდება, თქვენ თავად, თქვენი შემცვლელი და პრემიერ-მინისტრი, ყველანი იქნებით ცნობილნი, როგორც საქართველოს დემოკრატიის მშენებლები, მაგრამ იმ მომენტამდე მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ლიდერებმა ყველაფერი გააკეთოთ იმისთვის, რომ კოჰაბიტაციის პროცესი ამოქმედდეს. — განაცხადა რასმუსენმა და დასძინა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიული რეფორმების გაგრძელება, მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება.

რა საქმიანობით დაკავდება მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ?

— რომ გითხრათ ამაზე ბევრს ვფიქრობ-მეთქი, მოგატყუებთ. იმასაც გეტყვით, რომ ბატონ გენერალური მდივნის ვადაც გადის. ისიც ფიქრობს, ალბათ, რას გააკეთებს. შეიძლება, დავსხდეთ ერთად და მოვიფიქროთ, ეს რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ მინდა, განვაცხადო, რომ მინდა პოლიტიკური ინფორმირებულობისა და განათლების სტანდარტების ამაღლების მიმართულებით ვიმუშაო. ეს მაწუხებს. რატომ ხდება პრობლემები ბაზისური სტანდარტებისა და ცოდნის გამო. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ვიყო პოლიტიკაში იმ მიმართულებით, რასაც ჰქვია განათლება, ინფორმირებულობა და არა წმინდა პოლიტიკა. ჯერ ზუსტად არ ვიცი, ამას როგორ გავაკეთებ, მაგრამ განათლების დონის არარსებობა, საბაზისო მაინც — აი, ამაზე მინდოდა გამეგრძელებინა მუშაობა. — განაცხადა პრეზიდენტმა.

ნატოს გენერალურმა დივანმა იმ მოთხოვნებზეც ისაუბრა, რომელიც მათ საქართველოსთან მიმართებით აქვთ. გენერალური მდივნის განცხადებით, ალიანსში გაწევრიანებისთვის საქართველოსთვის მოთხოვნები იმის მსგავსი იქნება, როგორიც სხვა ასპირანტი ქვეყნისთვის.

— შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ორმაგი სტანდარტები არ არსებობს. საქართველოსთვის მოთხოვნები იქნება მსგავსი, როგორიც არის სხვა ასპირანტი ქვეყნისთვის. თქვენ უკვე მიაღწიეთ სერიოზულ პროგრესს და ეს არის იმის მიზეზი, თუ რატომაც გამოვაცხადეთ საჯაროდ, რომ საქართველო უფრო მიუახლოვდა ნატოს, თუმცა სამუშაო კვლავ დარჩა შესასრულებელი.

საქართველოს ხელისუფლებასაც მოეხსენება, რომ როდესაც თემა ეხება სამხედრო ძალების რეფორმას, როცა ვსაუბრობდით სასამართლო რეფორმებზე, დემოკრატიის შენარჩუნება და გამყარება ასევე მნიშვნელოვანია. ასევე ძალზე მნიშვნელოვანი კომპონენტია მომავალი არჩევნები. ჩვენ არ ვაწესებთ ძალზე მაღალ სტანდარტებს. როდესაც საქართველო ჩვეულებრივად, ნორმალურ სტანდარტებს დააკმაყოფილებს, მაშინ შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ საბოლოოო მიზანი მიღწეულია და მინდა, კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. — განაცხადა რასმუსენმა.

რასმუსენმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოში მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ნატო ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ყურადღებით დაკვირვებას განაგრძობს.

— ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ყურადღებით დაკვირვებას, მათ შორის დავაკვირდებით ოქტომბერში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს. თავისუფალი, დამოუკიდებელი არჩევნები იქნება ის შესაძლებლობა, რომელიც ხელახლა დაამტკიცებს, რომ საქართველში არსებობს დემოკრატიული ფასეულობები და მისი ცვლა ნატოსკენ არის გამართლებული, მაგრამ დემოკრატია უფრო მეტია, ვიდრე საარჩევნო ყუთი, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

რასმუსენს სწამს საქართველოს ხელისუფლებისა, რომ კანონის უზენაესობა ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება.

— მინდა, ხაზი გავუსვა, რომ კორუმპირებული იქნება, თუ კრიმინალური ოფიციალური პირები, ყველა მათგანი სამართლებრივ პასუხისგებაში უნდა მიეცნენ, მაგრამ არასდროს უნდა იქნეს ეს მიჩნეული იმ ქმედებად, რომელიც პოლიტიკურ რევანშს გულისხმობს. საქართველოს მთავრობა ნამდვილად კისრულობს ვალდებულებას, რომ შესაბამისი პროცესი პოლიტიკურად დამოუკიდებელი, ძლიერი სასამართლო სისტემის საშუალებით განხორციელდეს და საზოგადოებას მასში რწმენა ჰქონდეს. ჩემი შეხვედრების დროს მთავრობის წევრებთან ყველამ დამიდასტურა და დამარწმუნეს, რომ მართლაც ასეა. მწამს საქართველოს ხელისუფლებისა, რომ კანონის უზენაესობა ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება და ნამდვილად მწამს ქართველი ხალხის, რომელიც აქტიურად არის ჩართული თქვენი დაწესებულებების, სამთავრობო უწყებების უმაღლესი სტანდარტების მოთხოვნაში. — განაცხადა რასმუსენმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა გვითხრა, რომ შერჩევითი მართლმსაჯულების ფუფუნება არ გვაქვს.

ნატოს გენერალური მდივანი ასევე გამოეხმაურა აისაფის ოპერაციაში მონაწილე ქართველი ჯარისკაცების გმირობას. ის ამბობს, რომ ქართველი ხალხი ნამდვილად უნდა ამაყობდეს მისი ქვეყნის ჯარისკაცებით.

— ბევრი წელია, ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში არიან და თქვენ ნამდვილად უნდა ამაყობდეთ თქვენი ჯარისკაცებით. ძალიან დიდი სხვაობა არსებობს უკვე ავღანეთში მათი არსებობის შედეგად და ახლა უკვე შეგვიძლია, წინ წავიწიოთ და გადავცეთ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ამ უსაფრთხოების საკითხებზე ავღანურ ძალებს. 18 ივნისს ქაბულში დავესწარი ღონისძიებას. ეს იყო ცერემონია, რომელზეც ჩვენ ფორმალურად გადავეცით უკვე პასუხისმგებლობა ავღანელ უსაფრთხოების ძალებს იმისთვის, რომ მათ დაიცვან უკვე ქვეყანაში უსაფრთხოება. ჩვენ ჯერ კიდევ ვრჩებით აისაფის პროგრამაში, მაგრამ ეტაპობრივად გადავალთ უკვე მხარდამჭერი ფუნქციის მქონე ძალად და ავღანელები იქნებიან წამყვანი ძალა და ჩვენ უბრალოდ მათ მხარს დავუჭერთ და გავაძლიერებთ. 2014 წლის ბოლომდე აისაფის მისია დასრულდება და 2015 წლიდან უკვე ტრენინგების მისიას დავიწყებთ, რომელიც ფორმატით აბსოლუტურად განსხვავდება აისაფისგან და ძალიან მადლობელი ვართ, რომ საქართველო აქაც მიიღებს მონაწილეობას. — განაცხადა რასმუსენმა.

რასმუსენის განცხადებით, ჩვენ ვერ ჩავერევით სასამართლო პროცესებში, თუმცა უმნიშვნელოვანესია, თავიდან ავიცილოთ იმის მსუბუქი აღქმაც კი, რომ პროცესები პოლიტიკურად მოტივირებული იქნება.

რასმუსენმა გაიხსენა ის პერიოდი, როდესაც ის პოლიტიკოსი იყო. დანიის პრემიერ-მინისტრი. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ უჩნდებოდა სურვილი ამ თუ იმ პარტიის პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობის. თუმცა ამბობს, რომ რეალურად მთავარი ხალხის არჩევანია.

— მრავალი წელია, პოლიტიკოსი ვარ და გულახდილად მოგახსენებთ, რომ მეც მომდის ასეთი აზრები, რომ ერთი ან მეორე პარტია გაქრეს, მაგრამ რეალობაში ეს არის ამომრჩევლების გადასაწყვეტი. ეს გახლავთ არსი, ჩამოყალიბებული და მყარი, რომ სასამართლო პროცესები და დარბაზები არ უნდა ცვლიდნენ პარლამენტს. არ უნდა შეცვალოს ამან ადამიანთა ნება. ადამიანები წყვეტენ, რომელი პარტია უნდა იყოს წარმოდგენილი პარლამენტში. ამომრჩევლები წყვეტენ, ვინ იქნება მთავრობაში და ვინ გადავა ოპოზიციაში. აი, ასე შემიძლია, გიპასუხოთ. ჭეშმარიტი დემოკრატია გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე უმრავლესობის მმართველობაა. ეს ასევე გულისხმობს უმცირესობათა პატივისცემას და პოლიტიკური უმცირესობების პატივისცემას. — განაცხადა რასმუსენმა.

ჯეიმს აპატურაის არ გამორჩენია, რომ ჟურნალიტებთან აღენიშნა, დეპუტატებთან შეხვედრა რატომ იმართება „შერატონ მეტეხი პალასში“.

— ამ ქვეყანას პარლამენტის ორი შენობა აქვს, თუმცა დღევანდელი შეხვედრა არც ერთ მათგანში არ იმართება, რაც სახალისოა — თქვა აპატურაიმ.

აპატურაის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ნატოს გენერალური მდივანი საპარლამენტო უმრავლესობის გარდა უმცირესობის ლიდერებს ერთდროულად შეხვდა.

— დავითები, — აღნიშნა აპატურაიმ დავით უსუფაშვილისა და დავით ბაქრაძის მისამართით — ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის და მთავრობის კოორდინირებული მუშაობისთვის კარგ საქმეს აკეთებენ.

## ვაჟა ოთარაშვილი: „კულტურის სამინისტროში საშინელებები ხდება“

შორენა კოწოწაშვილი

დაბრმავდა თუ არა საქართველოში საბოლოოდ თემიდა და რა დაიწყა ხელისუფლებამ? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მწერალ ვაჟა ოთარაშვილთან.

***— ბატონო ვაჟა, როგორ შეაფასებდით პრემიერის განცხადებას დაახლოებით 6 თვეში ხელისუფლებიდან შესაძლო წასვლის თაობაზე? ბევრი ფიქრობს, რომ ამ განცხადებამ საზოგადოება არა მხოლოდ დააბნია, გარკვეულწილად იმედგაცრუებაც გააჩინა.***

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბიძინა ივანიშვილს სხვა გზა არ დარჩენია. როგორც მომაკვდინებელი ტვირთის მატარებელ თვითმფრინავს, რომლის მძღოლიც იძულებულია თვითმფრინავთან ერთად თავი აიფეთქოს, დაახლოებით იგივე მდგომარეობაშია პრემიერი ივანიშვილი. აი, ასეთი ასოციაცია დამრჩა ამ განცხადების მოსმენის შემდგომ. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილს არ შეუძლია პოლიტიკური ავანსცენიდან გაიყვანოს ნაციონალები და ის ხალხი, რომლებიც დღეს პარლამენტში კოალიციის სიით მოხვდნენ. პრემიერი ფიქრობს, რომ ეს არის ის გზა, რომელიც შეიძლება ქართულ პოლიტიკურ სარბიელს მოაცილოს ანტიქართული ძალები. ეს ეხება ნაციონალებსაც და რესპუბლიკელებსაც, რომლებსაც ძალიან დაბალი რეიტინგი აქვთ, სადღაც 1-2%. ამის მიუხედავად მათ დღეს საკმაოდ მაღალი თანამდებობები უკავიათ. აი, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა — ბიძინა ივანიშვილი თვითშეწირვის მაგალითს აძლევს პოლიტიკოსებს. მჯერა, ივანიშვილი არის პატრიოტი კაცი; მჯერა, რომ იგი არის საოცრად გულწრფელი, განსხვავებით სხვა პოლიტიკოსებისაგან, მაგრამ როგორც ჩანს, მასზე გარკვეული ქვედინებები მოქმედებენ და გარე პოლიტიკური სივრციდანაც. ეს დინებები აიძულებენ მას ეს ნაბიჯი გადადგას. კიდევ ვიმეორებ, შიდასახელისუფლო ქვედა დინებები აიძულებენ პრემიერს, ეს ნაბიჯი გადადგას. ალბათ ქართველი საზოგადოების დონეზე და სამოქალაქო საზოგადოების აქტივობაზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესი. სამწუხაროდ, საზოგადოებაში გაჩნდა ინდიფერენტიზმი, გაჩნდა გულგატეხილობა და რაღაცნაირი გულგრილობა მოვლენებისადმი, რასაც ემატება ქართველების მარადიული უარყოფითი თვისება — შური ნიჭიერი მოძმისა, უმადურობა, გაუტანლობა, ღალატი, ორპირობა, რაზეც გასულ საუკუნეებში ჩვენი ერის დიდი წინამძღვრები ტკივილით მოსთქვამდნენ. ვფიქრობ, საქართველო ძალიან საშიშ ზღვარს მიუახლოვდა. დღეს გაცილებით უფრო საშიში ვითარებაა, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია.

***— რას გულისხმობთ საშიშ ვითარებაში?***

— საშიშ ვითარებაში ვგულისხმობ იმას, რომ თუ მართლაც ასეთ სიტუაციაში ვართ, პრობლემაა, რომ ქვეყანაში გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერი არ არის. მოგეხსენებათ, საქართველო არის უმეფოდ დარჩენილი ქვეყანა. საქართველო, როგორც სახელმწიფო, ყოველთვის არსებობდა, როგორც მონარქიული ქვეყანა, 1801 წლამდე. რუსეთმა მოუღო ბოლო ბაგრატიონთა დინასტიას და საერთოდ, მონარქიას. მერე ამას დაემატა საბჭოური იმპერიის ბატონობა და საქართველო დარჩა რაღაც ნახევრადთავმოკვეთილ ანგელოზად. დღეს საქართველო უმეფოდ არის დარჩენილი. სა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მიხეილ მაჭავარიანი: „ხელისუფლებამ ნაციონალების განადგურება დაიწყო“

შორენა მარსაგიშვილი

**თბილისის მერიასა და საკრებულოში ნოდარ ხადურის უწყების ჩატარებულმა რეიდმა კინაღამ ხალხს ნატო და რასმუსენი დაავიწყა. ნაციონალები ისე იყვნენ გამწარებულები, თვალებიდან სულ ნაპერწკლებს ისროდნენ. განსაკუთრებით თბილისის მერი გიგი უგულავა იყო განრისხებული. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, მალე მისი ჯერიც დადგება.**

ამ დაკავებას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა.

სააკაშვილის განცხადებით, მერიის მაღალჩინოსან დავით ნინიძის დაკავება მთავრობას სირცხვილად და ლაქად დარჩება.

— თბილისის საკრებულოს და თბილისის მერიის რამდენიმე ათეული წევრი ქუჩებში დააკავეს, ხელბორკილებით ატარეს და საკუთარ ქალაქს იძულების წესით ათვალიერებინებდნენ. ერთ-ერთი მათგანი, დათო ნინიძე, არის კაცი, რომლის წესიერებაშიც არათუ ეჭვი არ მეპარება, არამედ არც კი ვიცნობ ადამიანს, რომელიც მასზე წესიერია. ის არის ინტელიგენტის, წესიერების, სისუფთავის, ეფექტურობისა და ახალი საქართველოს აღმშენებლის მაგალითი. დათო ნინიძეს იჭერდნენ, როგორც მგელს რომელიღაც მოსახვევში და ბორკილებით მიათრევდნენ. ეს სირცხვილად და ლაქად დარჩება არა მხოლოდ ამ მთავრობას, რომელიც ამას აკეთებს, არამედ ლაქად დაგვრჩება ჩვენც, რომ ამას ვუყურებდით. ეს ყველაფერი გულისამრევია, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სააკაშვილამდე ხადურის უწყების ოინბაზობა საპარლამენტო უმცირესობამ შეიცხადა. მათ მეოცნებეების ქმედება ვანდალიზმს შეადარეს. ასეთი რამ სხვა პარტიას რომ ეთქვა, ხმას არავინ ამოიღებდა. ნაციონალებს კი სხვების ვანდალიზმზე საუბრის უფლება არა აქვთ. ყველას კარგად გვახსოვს, როგორ აკავებდნენ ისინი ხალხს.



უმცირესობის წევრ გიორგი ვაშაძის განცხადებით, ხელისუფლება დაკავებებს იმისთვის გეგმავდა, რომ თბილისის საკრებულო ხელში ჩაიგდოს.

— სამწუხაროდ, მოულოდნელი არაფერია, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ წინასწარ ვამბობდით, რომ ამას ნამდვილად გეგმავდა ხელისუფლება იმისათვის, რომ თბილისის საკრებულო როგორმე ხელში ჩაიგდოს. ფაქტობრივად, საკრებულოს წევრები საკრებულოზე ხშირად პროკურატურაში დადიოდნენ, ფინანსურ პოლიციაში სხვადასხვა მიზეზის გამო. ძალიან სამწუხაროა, რომ ხელისუფლება არ ცვლის თავის მიდგომებსა და პოლიტიკას ამ მიმართულებით, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ვაშაძის თანამებრძოლისა და კოლეგას სერგო რატიანის აზრით კი გუშინდელი ქმედება პირდაპირი თავდასხმაა ნაციონალურ მოძრაობაზე.

— რაც 27 ივნისის დილით მოხდა, არის სრულიად შემაშფოთებელი, ქალაქის თითქმის ყველა მმართველი რგოლის, როგორც საკრებულოს, ასევე გამგეობის, ასევე პარტიული ორგანიზაციებზე მოხდა პირდაპირი თავდასხმა. 30 კაცამდე იქნა დაკავებული და მიყვანილი განყოფილებაში. მერე უკვე იყო შებრუნებული, გადასხვაფერებული პოზიცია, რომ თითქოს ისინი მიიყვანეს მოწმის სახით. მოწმეებს ასე არ იბარებენ, მით უმეტეს, მოწმეებს, რომლებიც არაერთხელ იყვნენ დაკითხვაზე. ამიტომ ეს არის სრულიად შემაშფოთებელი ფაქტი და ეს არის უბრალოდ სრულიად ვანდალური თავდასხმა ოპოზიციაზე და ეს მეტყველებს იმ არანორმალურ გარემოზე, რომელშიც თანდათანობით შედის ქართული სახელმწიფო, — აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში რატიანი.

დეპუტატი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ დაკავება რასმუსენის ვიზიტს დაემთხვა. მან ძველი ამბებიც გაიხსენა და გენერალ გიგი კალანდაძის დაკავების გამო კიდევ ერთხელ შეაჩვენა მეოცნებეები.

— პირველად იყო, ასევე, სრულიად არაადეკვატური დაკავება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროსის და მაშინ უბრალოდ ჩაიშალა ნატოს სამხედრო დელეგაციის ვიზიტი. დღეს რასმუსენია ჩამოსული და ხდება დასავლური სახელმწიფოსათვის სრულიად არაადეკვატური რამე. ეს რაღაცნაირად არის პოლიტიკური გზავნილი იმის საწინააღმდეგოდ, რის დეკლარირებასაც აკეთებს სახელმწიფო, — აღნიშნავს აღშფოთებული დეპუტატი.

დეპუტატ გოკა გაბაშვილის განცხადებით, გუშინდელი რეიდი იყო პირდაპირი თავდასხმა ადგილობრივ თვითმმართველობაზე და ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალაზე.

რატიანის მსგავსად, ისიც ძველ ამბავს იხსენებს. მისი თქმით, ძალიან უცნაურია, რომ თვეების წინ სამხედრო კომიტეტის ვიზიტისას მოხდა გენშტაბის თანამშრომლების დაკავება, ხოლო ნატოს ოფიციალურ ვიზიტს საკრებულოსა და თბილისის მერიის წევრების დაკავება დაემთხვა.

— მოგესალმებით! გვინდა, ფრაქციის სახელით გამოვეხმაუროთ იმ ფრიად უცნაურ და აბსოლუტურ უკანონო სპეცოპერაციას, რომელიც დღეს თბილისში განხორციელდა. ეს იყო პირდაპირი თავდასხმა ადგილობრივ თვითმმართველობაზე და ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალაზე. ეს არის ძალიან საგანგაშო და ძალიან უარყოფითი რამე საქართველოსთვის. ნიშანდობლივია, რომ რატომღაც ეს ემთხვევა ნატოს ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში. ძალიან უცნაურია, რომ თვეების წინ სამხედრო კომიტეტის ვიზიტისას მოხდა გენშტაბის თანამშრომლების დაკავება. ახლა ხდება ეს ამბავი. ეს შეიცავს პოლიტიკური პროვოკაციის ნიშნებს. დასადგენია, რატომ ხდება ასეთი მიუღებელი და უსარგებლო ოპერაციის ჩატარება. ვინც ეს გაუგებარი სამართლებრივად განუმარტავი ქმედება განახორციელა, ამ თანამდებობის პირებს უნდა მოეთხოვოთ პასუხი, ყველას, ვინც ეს განახორციელა და დაგეგმა. შესაბამისად, ჩვენ ვითხოვთ პოლიტიკურ პასუხებს. ვინ განიზრახა და რატომ განიზრახა „ნაციონალურ მოძრაობაზე შეტევა, ასეთი მიუღებელი ფორმით და ასეთი უკანონობის ფორმით და რა საჭიროა ყოველი პარასკევის წინ, როდესაც საკრებულოს სხდომა უნდა გაიმართოს ასეთი ზეწოლა საკრებულოს წევრებზე. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ გადადგმული ასეთი ნაბიჯები და მცდელობა, რომ ოპოზიცია ჩამოაცილო ყველაფერს, რომ ოპოზიცია გაანადგურო, არის არა მცდელობა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გაანადგურო, არამედ ეს ქვეყანას და მათ შორის ხელისუფლებას ძალიან ცუდად მოუბრუნდება, — განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

მიხეილ მაჭავარიანი კი უფრო შორს წავიდა და ხადურის უწყების რეიდი სპეცოპერაციას შეადარა.

—მოწმის სახით დაკითხვაზე მოგდის უწყება, მიდიხარ და ჩვეულებრივად გკითხავენ. აქ იყო გააზრებული სპეცოპერაცია ჩატარებული და აქ, როგორც ჩანს, მიზანი არ იყო მოწმედ დაკითხვა, ეს ფაქტობრივად ასეა, იმიტომ რომ, როგორც კი შეიცვალა სიტუაცია, იმ წუთშივე თქვეს, რომ იცით, ჩვენ მოწმედ დავიბარეთ და გაავრცელეს კიდეც განცხადება. ვინ არიან ეს ადამიანები? თბილისის მერის 2 მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს წევრები და ადამიანები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ „ნაციონალურ მოძრაობასთან. ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ აქ არის იერში მიტანილი არა მარტო მერიაზე, არამედ პარტიულ ორგანიზაციაზე. როგორც ჩანს, უკვე გადაწყვეტილებაა მიღებული, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც ოპოზიცია, ამ ფორმით უნდა განადგურდეს და თბილისში ამიტომ მიიტანეს ეს შეტევა. სახეზეა ადამიანების უკანონოდ დაკავების ფაქტი: თუ ეს ადამიანები დააკავეს უკანონოდ და მათზე არ იყო გაცემული დაკავების სანქცია, ეს ნიშნავს, რომ ისინი უკანონო პატიმრები არიან და ვინც ეს გააკეთა, ისინი პასუხისგებაში მიეცნენ. გვინდა გავარკვიოთ, ეს იყო დაგეგმილი, შეცდომა იყო ვილაცის, თუ ეს იყო რაღაც გაუგებრობა, მაგრამ გაუგებრობა სისხლის სამართლის დანაშაულით, იმიტომ, რომ ეს ადამიანები მინიმუმ 2 საათი იყვნენ უკანონოდ დაკავებული. მათ არ წარუდგინეს, რომ ისინი არიან დაკავებული, მათ წარუდგინეს, რომ ისინი არიან მოწმეები. ის ოპერატიული თანამშრომლები, ვინც ამაში მონაწილეობდნენ, დღეს პოტენციურად არიან დამნაშავეები, — აღნიშნავს მაჭავარიანი.

უკანონობა აუცილებლად უნდა დაიგმოს, მაგრამ, გააჩნია, ვინ გააკეთებს ამას. ნაციონალებს ხმა ნამდვილად არ აქვთ ამოსაღები. საინტერესოა, აქამდე რატომ არ გმინავდნენ, უდანაშაულო ადამიანებს ციხეებში რომ ყრიდნენ. მათ ჯერ იმ საშინელებებზე აქვთ პასუხი გასაცემი, რომლებზეც მეორე კვირაა, მთელი საქართველო საუბრობს.

# ელისო ჩაფიძე: „პარლამენტის შენობაში უკანონოდ ვიმყოფებით“

## ქუთაისის პარლამენტით პროკურატურა დაინტერესდება

შორენა მარსაგიშვილი

**დღემდე ამოუცნობ გამოცანად რჩება, თუ რატომ ისურვა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში პარლამენტის შენობის გადატანა. ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ამით ქუთაისი აყვავდება და განვითარდება. ისე აყვავდა და გაბრწყინდა თქვენი მტერი, ჩემო საყვარელო მკითხველო, როგორც ამ შენობამ ქუთაისი ააყვავა.**

ამ შენობის ასაშენებლად 300 მილიონზე მეტი დაიხარჯა, თუმცა, როგორც ნაციონალები ამბობენ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ფაქტობრივად, არაფერი არ არის გაკეთებული. შენობის შიგნითაც ისევე წვიმს ხოლმე, როგორც გარეთ. დეპუტატებს ხან რა ეცემათ თავში და ხან რა. ხმამაღლა არ ამბობენ და ნაციონალებსაც ერთი სული აქვთ, როდის დაბრუნდება პარლამენტი თბილისში.

ამ შენობის აშენებას, შესაძლოა, ვილაცები გადაჰყვნენ. გუშინ გაირკვა, რომ ქუთაისში, პარლამენტის მშენებლობის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნა გამოძიებისთვის პროკურატურას გადაეცემა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ქუთაისის პარლამენტის მშენებლობისთვის სახსრების მოპოვებისა და მისი ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ 23-ფურცლიანი დასკვნა დადო, რომელიც პარლამენტში წინა თვეში შევიდა.

დასკვნის მიხედვით, პარლამენტის მშენებლობა განხორციელდა ნებართვის გარეშე შესაბამისად დაცული არ იქნა მშენებლობისთვის ნებართვის გაცემის წესები და მოთხოვნები.

რაც შეეხება სახსრებს, დასკვნის თანახმად, პარლამენტის მშენებლობისთვის მთავრობის განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ქუთაისის მერიას მიზნობრივი ტრანსფერით გამოეყო 73, 775, 255 ლარი. მათ შორის, პარლამენტის შენობის დაპროექტების სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური-გეოლოგიური კვლევების განხორციელებისთვის წინასწარი სამუშაოების შესრულების მიზნით გამოეყო 5 მლნ ლარი.

ასევე, პარლამენტის შენობის დაპროექტების მშენებლობის ექსპერტიზის „ინფობოქსის“ სკვერის კეთილმოწყობისთვის გამოიყო 42 0000000 ლარი, ასევე სხვა გადაუდებელი ხარჯების დასაფინანსებლად გამოიყო 26 775 255 ლარი.

დასკვნის მიხედვით, პარლამენტის მშენებლობის დაფინანსებისთვის მთავრობის განკარგულებებიდან გამოყოფილმა ხარჯმა შეადგინა 73 757 930 ლარი. რაც შემდეგ სამუშაოს მოიცავდა: მშენებლობას 66 845 813 ლარი, პროექტირება 6442 089 ლარი, დემონტაჟი 470 028. რამაც სულ, ჯამში, შეადგინა 73 757 930 ლარი.

დასკვნის მიხედვით, განკარგულებით მიღებულ და დახარჯულ თანხებს შორის 17 325 ლარის ოდენობის სხვაობა ირიცხება ქუთაისის მერიის ბალანსზე.

ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთის“ ცნობით, გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე პარლამენტის სასახლის მშენებლობისათვის სახსრების მოპოვების, ხარჯვის მიზნობრიობისა და კანონიერების შესახებ აუდიტის სამსახურის ანგარიში მოისმინეს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ელისო ჩაფიძე აცხადებს, რომ პარლამენტი ქუთაისში, არსებულ შენობაში, ფაქტობრივად, შეჭრილია.

— სამართლებრივი ნონსენსია ის, რომ საქართველოს პარლამენტი, ფაქტობრივად, შემოჭრილ მდგომარეობაშია დღეს ამ შენობაში და ჩვენ არ გვაქვს არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ეს შენობა გადაეცა საქართველოს პარლამენტს. ვფიქრობთ, რომ სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი ეს საკითხები. მე აბსოლუტურად ვეთანხმები კომიტეტის დასკვნას, რომ პროკურატურამ უნდა შეისწავლოს, რამდენად ხარისხიანად არის აშენებული ეს შენობა და რამდენად სწორად დაიხარჯა ის სახსრები, რომლებიც სააკაშვილმა ერთ-ერთ თავის მეგობარ კომპანიას გადასცა მშენებლობისთვის. დაველოდოთ, რას იტყვის პროკურატურა, — აღნიშნა ჩაფიძემ.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, ყოფილი დეპუტატი ლაშა თორდია აცხადებს, რომ თავის დროზე საქმე პროკურატურას მანაც გადაუგზავნა.

— დეპუტატებს წარვუდგინე ანგარიში. იყო შეკითხვა, როგორ მოხდა თანხების მოძიება და მშენებლობის პროცესში ამ თანხების განკარგვა. ეს საკითხები კანონთან შესაბამისობაშია, თუმცა, არის კითხვის ნიშნები, რამდენად იყო რეალისტური ის თანხები, რომლებიც დახარჯულია, რადგან ჩვენ ხარჯთაღრიცხვა ვერ მოვიპოვეთ. საქმე სამართლებრივი რეაგირებისთვის პროკურატურას გადაეცა. ვისაუბრეთ იმ საკითხზე, რომელიც შეეხებოდა ნებართვის გაცემას. ნებართვა არ არსებობს, არ არის გაცემული ამ შენობაზე, რომელიც თავის მოცულობით მეხუთე კატეგორიის შენობაა და აუცილებლად უნდა ყოფილიყო, — აღნიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა.

უმცირესობის წევრი და ქუთაისის ყოფილი მერი გია თევდორაძე ამბობს, რომ პრობლემის მოგვარება რამდენიმე კვირაშია შესაძლებელი.

— ყველა პრობლემა და მოარული ხმები ამ შენობასთან დაკავშირებით არ მომდინარეობს შენობის პროექტიდან, მისი მდგრადობიდან ან კონსტრუქციიდან, ეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ დაკავშირებულია მის ადგილმდებარეობასთან — ქუთაისთან და დაკავშირებულია მის შემკვეთთან — მიხეილ სააკაშვილთან და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებასთან. რაც შეეხება ნებართვის გაცემას, ეს არის მეხუთე კატეგორიის შენობა და ამაზე ნებართვის გაცემის უფლების მქონე არ იყო თვითმმართველობა, მაგრამ ეს ყველაფერი არის მეათეხარისხოვანი. შენობა აქ არის, თავისი კონსტრუქციით, თავისი მდგრადობით, არამდგრადობით, რისი გარკვეული ინსპექტირება არის მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე კვირის საქმე და, თუკი ხელისუფლებას გააჩნია მზაობა იმისა, რომ ეს მუდმივი ჭორები და ინსინუაციები ამ შენობასთან დაკავშირებით იქნეს დასრულებული, ეს მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმეკვირიანი გულმოდგინე მუშაობის საქმეა, არა ამ პრობლემებიდან გამოსვლა არის თვითმიზანი მთელი ამ ვაკხანალიის, რომელიც არის ატეხილი, არამედ ერთგვარად მანიპულირება იმაზე, რომ ეს შენობა არ არის მდგრადი, მეტეორების წვიმაა მოსალოდნელი, რადიაციული ფონია მაღალი და, ზოგადად, ქუთაისში არ უნდა იყოს პარლამენტი, — აღნიშნავს ქუთაისის ყოფილი მერი.

როგორც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, ვინაიდან შენობა ამ დრომდე არ არის ექსპლუატაციაში შესული და კონკრეტული დარღვევები იკვეთება, სასურველია, საქმე პროკურატურას გადაეცეს.

მისი თქმით, სჯობს, საქმე პროკურატურას გადაეგზავნოს, რომელიც საქმეს საფუძვლიანად შეისწავლის და დაადგენს, ვინ რა დარღვევებით აწარმოა პარლამენტის მშენებლობა.

მართლა საინტერესოა ამ შენობის ამბის გარკვევა. ურიგო არ იქნება იმის დადგენაც, რატომ აიჩემა სააკაშვილმა თბილისიდან საკანონმდებლო ორგანოს გატანა. ქვეყნის პრეზიდენტს თბილისი არასდროს უყვარდა, მაგრამ ეს მარტო უსიყვარულობის ბრალი არაა.

საქართველოს 2 ნაწილად გაყოფა რუსების გეგმაში შედიოდა. 20 წლის წინ ამ იდეით რუსი გენერლები გამოდიოდნენ. აფხაზეთის ომის დასრულების შემდეგ საქართველო 2 ნაწილად უნდა გაყოფილიყო. ერთის დედაქალაქი იქნებოდა თბილისი, მეორე ნაწილის კი — ქუთაისი და რაც რუსებს სამოქალაქო ომის დროს არ გამოუვიდათ, სააკაშვილმა მშვიდობიანობის დროს გააკეთა. ქუთაისის აღორძინება რომ სდომებოდა, იმ 360 მილიონს ქალაქს მოახმარდა.

2013, 28 ივნისი, №151

# ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

მერი ნამორაძე

გუშინ აბიტურიენტთათვის საგამოცდო ციებ-ცხელება დაიწყო. წელს უპრეცენდენტოდ ბევრი სტუდენტობის მსურველი ჰყავს ქვეყანას, დაახლოებით 42 ათასი. ამაში გარკვეული როლი სახელმწიფოს მიერ გარკვეულ ფაკულტეტებზე სწავლების სრულად დაფინანსებამ და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდამაც ითამაშა. გამოცდების ეროვნულ ცენტრს ტესტებში შინაარსობრივი თვალსაზრისით სიახლე აბიტურიენტთათვის არ შეუთავაზებია. ცვლილება მხოლოდ რეგისტრაციის პროცესს შეეხო, წელსაც პირველიდან 20 აპრილის ჩათვლით სასწრაფო დახმარების მანქანა და წესრიგის დაცვას საპატრულო პოლიცია უზრუნველყოფს.

წელს საგამოცდო ტესტები უნარშეზღუდული აბიტურიენტებისთვისაც მომზადდა. როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, მაია მიმინოშვილმა აღნიშნა, რეგისტრაციის გავლის პროცედურა დარღვევების გარეშე წარიმართა. პირველ სესიაზე აბიტურიენტთა დაგვიანების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია წელს 9 მსჯავრდებულმა გაიარა. აბიტურიენტთა უმრავლესობამ, დაახლოებით 30 ათასმა ახალგაზრდამ უცხო ენად ინგლისური აირჩია. არჩევით საგნებში კი პოპულარობით ისტორია სარგებლობს და უმრავლესობამ სწორედ ეს საგანი აირჩია.



2005 წლიდან გადასალახი ბარიერი არ შეცვლილა აბიტურიენტთათვის, კომპეტენციის მინიმალური ზღვარი ანუ 25% და მეტი უნდა გადალახონ აბიტურიენტებმა ყველა გამოცდაზე და 20% და მეტი უცხო ენაში. თუმცა, უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ საკუთარი ბარიერი დააწესონ და ამის უფლება 2005 წლიდან მიეცათ მათ. დღემდე ბარიერი აწეული ჰქონდა მხოლოდ ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც ზოგიერთ ფაკულტეტზე ბარიერს 50პროცენტამდეც კი სწევდა. წელს ბარიერი ასწია სამედიცინო უნივერსიტეტმაც.

შეეძლოთ აბიტურიენტებს არჩევანი გაეკეთებინათ დამატებით საგამოცდო საგანთან დაკავშირებით. ხოლო თუ სად სურთ სწავლის გაგრძელება, ამ არჩევნის დასაფიქსირებლად დრო აბიტურიენტებს გაუხანგრძლივდათ და გამოცდების დასრულების შემდეგაც შეეძლებათ არჩევნის დაფიქსირება.

გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, გიორგი მარგველაშვილი კმაყოფილებას არ მალავდა საგამოცდო პროცესის ორგანიზებულობის გამო. გუშინ აბიტურიენტებმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩააბარეს გამოცდა. ქვეყნის 12 ქალაქში 18 საგამოცდო ცენტრი იყო მზად მათ მისაღებად. აბიტურიენტთა დიდი რაოდენობის გამო წელს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ერთი საგამოცდო ცენტრი დაამატა. რეგისტრაციის პროცესი დილის 8 საათზე დაიწყო, პირველი საგამოცდო სესია კი – 9 საათზე.

საგამოცდო პროცესში 1800-ზე მეტი მეთვალყურე და კურატორია ჩართული. ყველა საგამოცდო ცენტრში გახსნილია სამედიცინო პუნქტი, რომელიც აღჭურვილის პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით, ნებისმიერი სახის ინციდანტის თავიდან ასაცილებლად კი მზადყოფნაშია სამაშველო სამსახური,

რამდენი აბიტურიენტი გახდება სტუდენტი, ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა საკონკურსო ადგილების რაოდენობა საკმაოდ დიდია – დაახლოებით 35 ათასი. გამოცდების ეროვნულ ცენტრში ამბობენ, რომ როგორც ყოველთვის, აუცილებლად აღმოჩნდება ფაკულტეტები, სადაც მაღალი იქნება კონკურსი და ერთ ადგილზე რამდენიმე აბიტურიენტი შეეცილება ერთმანეთს. ამავდროულად იქნება ფაკულტეტები, სადაც აპლიკანტების ნაკლები რაოდენობა დაფიქსირდება, ვიდრე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა. წინა წლების გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ყოველწლიურად დაახლოებით 24-25 ათასი აბიტურიენტი ხდებოდა სტუდენტი. აბიტურიენტთა სიჭარბის გამო, წელს შეიძლება მეტმა გადალახოს ბარიერი.წლევანდელ გამოცდებში ასევე გრანტის გაუმჯობესების 8 ათასი მსურველი იღებს მონაწილეობას. ეროვნული გამოცდები 17 ივნისს დასრულდება.

# ჟენევის დისკუსიები შესაძლოა შეწყდეს

ამიერკავკასიაში უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველსაყოფი მომავალი დისკუსიები შეშფოთებას იწვევს, რადგან მსგავს ფორმატში შეხვედრების შეწყვეტის შესაძლებლობა, თეორიულიდან პრაქტიკულში გადადის – ასეთი განცხადება გააკეთა ჟენევის მოლაპარაკებების 24-ე რაუნდის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, სახელმწიფო მდივანმა გრეგორი კარასინმა „იტარტასისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

დიპლომატის განცხადებით, საქართველოს დელეგაციის პოზიცია, რომელმაც გუშინ დიალოგი დაბლოკა, – „ჟენევის დისკუსიების შემდეგი პერსპექტივების შესახებ შეშფოთებას იწვევს. ამას ობსტრუქცია ეწოდება" – აღნიშნა კარასინმა.

„არსებობს განგაშის საფუძველი. მითუმეტეს, რომ ეს პირველად არ ხდება" – განაცხადა რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა იმ ფაქტზე, რომ ქართველმა დიპლომატებმა პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს ბოიკოტი გამოუცხადეს. კარასინმა არ გამორიცხა, რომ პრობლემების მსგავს ფორმატში განხილვა, მომავალში შესაძოა შეწყდეს.

რუსი დიპლომატის განცხადებით, ამ სიტუაციიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია, – თანათავმჯდომარეებმა საქართველოს წარმომადგენლები უნდა დაარწმუნონ, რომ კონსტრუქციულად იმუშაონ და შედეგზე იყვნენ ორიენტირებულნი.

„ასეთმა ობსტრუქციამ შესაძლოა სამწუხარო შედეგებამდე მიგვიყვანოს, ვინაიდან იმედგაცრუება, როგორც წესი, კონკრეტულ ნეგატიურ გამოვლინებად გადაიქცევა ხოლმე. ძალიან არ მინდა ეს ვნახო, მითუმეტეს საქართველოს საზღვარზე სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან" – განაცხადა რუსმა დიპლომატმა.

მისივე თქმით, შეხვედრა დაგეგმილზე ერთი საათით ადრე დამთავრდა და იმედგაცრუების შეგრძნება დატოვა.

„ამას შეგნებულად აკეთებენ, რათა აჩვენონ, რომ საქართველოს ახალი დელეგაციის წევრები, წინამორბედებთან შედარებით არანაკლებ პატრიოტები და საკუთარი პოზიციის დაცვის საკითხებში არანაკლებ პრინციპულები არიან. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, კონსტრუქტიული დიალოგების განახლების იმედი ჯერ კიდევ არსებობს და ვიმუშავებთ იმაზე, რომ ჟენევის დისკუსიები როგორმე გაგრძელდეს" – აღნიშნა კარასინმა.

შეგახსენებთ, რომ 25-26 ივნისს, ჟენევაში ამიერკავკასიაში უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართა. მასში მონაწილეობა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო რესპუბლიკების, საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის, გაეროს და ეუთოს წარმომადგენლებმა მიიღეს.

**ნიუსპრესი**

# მანანა ნაჭყებია: „ბიძინა ივანიშვილს ირაკლი ღარიბაშვილი შეცვლის"

თამარ ნინიძე

**„ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია ვარაუდობს, რომ ბიძინა ივანიშვილს არა აქვს საფუძველი, გადადგეს პრემიერ-მინისტრის პოსტიდან. მისი ნდობით კი ყველაზე მეტად, შესაძლოა, ირაკლი ღარიბაშვილი სარგებლობდეს, ეს იქნება ის, ვისაც ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაასახელებს. „ახალი თაობა" მანანა ნაჭყებიას ესაუბრა.**

***– საქართველოში ნატოს დელეგაციაა ჩამოსული მისი გენმდივნის, რასმუსენის ხელმძღვანელობით. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ვიზიტი საქართველოსთვის?***

– „ახალი მემარჯვენეებისთვის" ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს სვლა ნატოსკენ გაგრძელდეს. ჩვენ ვიყავით ინიციატორები 2002 წელს, რომ საქართველოს ნატოს კარზე დაეკაკუნებინა, დღემდე ჩვენი პოზიცია არ შეგვიცვლია. ერთადერთი გარანტია, რომ საქართველომ დაიბრუნოს თავისი ტერიტორიები და იყოს უსაფრთხო გარემოში, ნატოს წევრობაა. ეს გამოხატა ჩვენმა მოსახლეობამ რეფერენდუმზე, ამიტომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც კიდევ უფრო დაგვაახლოებს ნატოს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ცხადია, ბატონ რასმუსენს დღეს ძალიან გაუჭირდებოდა, პირდაპირ ეთქვა, რომ მომავალი სამიტი, რომელიც, შესაძლოა, ლისაბონში გაიმართოს, გაფართოების სამიტი იქნება და მისი ერთ-ერთი კანდიდატი საქართველო იქნება, მაგრამ, ვფიქრობ, დამაიმედებელი მესიჯები იყო და შევძლებთ იმ მნიშვნელოვანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომლებსაც გვიყენებს დემოკრატიის თვალსაზრისით ნატო, ეს იქნება სერიოზული შესაძლებლობა იმისა, რომ საქართველო შევიდეს ნატოში.

***– როგორც ევროპარლამენტარები, ასევე ნატოს ხელმძღვანელობა ახალ ხელისუფლებას სთხოვს, რომ ადამიანის უფლებები იყოს დაცული და არ იყოს შერჩევითი სამართალი, არ იყოს პოლიტიზებული სასამართლო ორგანოები. დღეს საქართველოში თქვენ ხედავთ ამის საშიშროებას?***

– მე ვხედავ ერთ საშიშროებას – საზოგადოების მოთხოვნილებაა, სამართლიანობა აღდგეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი მართლაც ძალიან დაზარალდა. ის თვლის, რომ ყველანი უნდა აღმოჩნდნენ ციხეში და აგონ პასუხი. ეს აიძულებს ხელისუფლებას, მოსახლეობის ეს დაკვეთა შეასრულოს. წინასაარჩევნო დაპირებაც ასეთი იყო. ვშიშობ, ხელისუფლება არ გაერთოს ამ დაპირების შესრულებაში. მეორე მხრივ, სამართლიანობა უნდა აღდგეს. ზედმეტი პოლიტიზება ამისა არ არის საჭირო. საქართველოში სამართლიანობა უნდა აღდგეს, მაგრამ პროკურატურამ ბოლომდე უნდა გამოიძიოს ნებისმიერი საქმე, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში კონკრეტულმა პიროვნებებმა ჩაიდინეს. სასამართლომ უნდა განახორციელოს მათ მიმართ მართლმსაჯულება. არ უნდა იყოს ისეთი წარმოდგენა, რომ ოპოზიციას ხელისუფლება ავიწროებს და არ უნდა იყოს შერჩევითი სამართალი. ეს საქმე დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, მაგრამ ეს არ არის ის მისია, რომელიც ვერ უნდა შეასრულოს ხელისუფლებამ. სასამართლოს გაუჩნდა შანსი, ბევრად უფრო დამოუკიდებელი იყოს.

***– ევროსაბჭოში საქართველოს დელეგაციის ვიზიტის დროს ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა უარი თქვეს საქართველოს შესახებ დებატებზე. როგორ ფიქრობთ, ეს იმის შედეგი იყო, რომ მათ, ვთქვათ, ეს ფირები ნახეს?***

– თუ არ ნახეს, დეტალური ინფორმაცია მაინც მიიღეს ამ ფირების შესახებ და ამანაც გამოიწვია იმ დებატების გადადება. ეს ფირები არანაკლები დეტონატორის როლს ასრულებენ, ვიდრე თავის დროზე ცოცხების კადრებმა შეასრულა. ამან სერიოზული გავლენა შეიძლება მოახდინოს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ნაცმოძრაობის პოლიტიკურ მომავალზე. თუ ითვლებოდა, რომ მარგველაშვილი გამარჯვების უპირობო კანდიდატი იყო და მეორე ადგილზე გავიდოდა ნაცმოძრაობის კანდიდატი, ვთქვათ, ბაქრაძე, ეს მოცემულობა შეიცვალა, იმდენად მძიმე იყო ეს ფირები ნაცმოძრაობისთვის. საზოგადოებაში გაჩენილია მოთხოვნა, რომ ყველა იმ პატიოსანმა ადამიანმა, რომელიც ნაცმოძრაობაში იყო შეცდომაში შეყვანილი და ემსახურებოდა ქვეყნის ინტერესებს, დღეს უნდა გააკეთოს არჩევანი, უნდა გაემიჯნოს ნაცმოძრაობას და თუნდაც ახალი პოლიტიკური ძალა შექმნას. მე არ მინახავს ეს კადრები, მამუკა კაციტაძემ საკრებულოს ფარგლებში ნახა ეს კადრები და თქვა, რომ ათ წუთზე მეტად ვერ გაუძლო ამ კადრების ნახვას. ლაპარაკი იმაზე, რომ ეს არ არის სისტემური დანაშაული, უბრალოდ, თავის მართლებაა. ცხადია, ამას სისტემური ხასიათი ჰქონდა, ჩვენ გვქონდა ინფორმაციები ამ ყოველივეზე. აქედან გამომდინარე, ქუჩის აქციებით ვებრძოდით ნაცმოძრაობას. ერთი არჩევანი აქვს ნაცმოძრაობას – მასში მოხდეს იმ ადამიანების კრისტალიზაცია, რომელთაც არ ჰქონდათ შეხება ამაზე, პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღონ, ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ რადგან 1 ოქტომბერს დავმარცხდით, ამით ვზღეთ უკვე ჩვენი პასუხისმგებლობა.



***– პოლიტიკოსების მხოლოდ მცირე ნაწილი მოითხოვს ამ ფირების ეთერში გატანას. საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამის განსაჯაროება არ შეიძლება. ამ კადრების ჩვენების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები რა შეიძლება იყოს?***

– მემარჯვენეები საზოგადოების იმ ნაწილს განეკუთვნებით, რომლებიც თვლიან, რომ ფართო საზოგადოებამ ეს კადრები არ უნდა ნახოს. მე არ მომწონს, რომ ამ ფირების ჩვენება საზოგადოების ცალკეულ ფენებში კინოსეანსებს დაემსგავსა. ეს მხოლოდ სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეა. რაც შეეხება პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს, აქ კითხვის ნიშანიც კი არ უნდა არსებობდეს, რომ ეს კადრები უნდა განადგურდეს. ამის სასარგებლოდ არანაირი არგუმენტი არ უნდა იყოს. ეს უნდა იყოს მიმართული ნაცმოძრაობის პოლიტიკური განაჩენისკენ. მართლაც გამოტანილი აქვთ ეს განაჩენი და მათი უკან მობრუნების შანსი ძალიან მცირეა. რაც შეეხება სხვა მხრივ ამ კადრების გამოყენებას, სხვა გამოყენება ამ კადრებს არ აქვს.

***– ივანიშვილის განცხადება მისი პოსტიდან წასვლის შესახებ იყო მოსალოდნელი „ახალი მემარჯვენეებისთვის" და რამდენად სწორად არის შერჩეული დრო მისი ასეთი გადაწყვეტილებისთვის?***

– მის განცხადება ჩვენ ნეგატიურად შევაფასეთ, მიუხედავად იმისა, რომ მას ადრე ჰქონდა გაცხადებული, ის დიდხანს არ აპირებს პოლიტიკაში დარჩენას. ჩვენ ვთვლით, რომ დრო ნამდვილად არ იყო სწორად შერჩეული და, გარკვეულწილად, მოულოდნელიც იყო ამ დროის თვალსაზრისით. ივანიშვილსა და მის გუნდს ჯერჯერობით მხოლოდ მცირე დანაპირები აქვს შესრულებული. ამომრჩევლის დიდ ნაწილს ჰქონდა იმის განცდა, რომ ივანიშვილი და მისი გუნდი მას მოუგვარებდა ყველაზე უმნიშვნელოვანეს პრობლემას. ეს არის უმუშევრობის დაძლევა, ოჯახებისთვის ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შექმნა, სიღარიბისთვის თავის დაღწევა. სანამ ქვეყანა თავს ვერ დააღწევს ამ პრობლემებს, არა მგონია, ბატონ ივანიშვილს ჰქონდეს უფლება, გადადგეს. საგარეო კურსს რაც შეეხება, ნატოში გაწევრიანებაზე ვსაუბრობთ, ვილნიუსის სამიტზე, სადაც ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებას უნდა მოეწეროს ხელი, მე მიმაჩნია, რომ ბოლო დროს ივანიშვილის განცხადებები ნატოსა და ევროინტეგრაციის შეუქცევადობაზე ძალიან მნიშვნელოვანია, საეტაპო შეფასება მისცა ჩვენი პარტიის თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძემ ავლანეთში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ივანიშვილის განცხადებას, რომ სამშვიდობო მისია საქართველომ უნდა გააგრძელოს. საქართველო არ აპირებს, გადაუხვიოს ჩრდილოატლანტიკურ გეზს. ესეც მნიშვნელოვანი განცხადება იყო. შესაძლოა, ივანიშვილი ცდებოდა, როცა დიდ იმედს ამყარებდა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების პოლიტიკურ მიმართულებაზე. საქართველოსა და რუსეთს შორის არის ისეთი წითელი ხაზები, რომლებიც დაუძლეველია, ტერიტორიული მთლიანობა და ის, რომ რუსეთს არ სურს, საქართველო გახდეს ნატოს წევრი, მაშინ ჩვენ რა გვრჩება გასარკვევი. ეს არ ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს. შესაძლებელია, ეს ურთიერთობები დამყარდეს. მიმოსვლა უნდა აღდგეს. დღეს მისი განცხადებები აბსოლუტურად გაუგებარია. ერთი წლის შემდეგ იქნება ნატოს გაფართოების სამიტი.

***– იურიდიულად გამართული არ არის საკითხი, რომელიც მის მოქალაქეობას ეხება. მას იანვრის შემდეგ არ ექნება უფლება, ეკავოს პრემიერ-მინისტრის პოსტი.***

– დიახ, მე გავეცანი ბატონი ხმალაძის მოსაზრებას. არა მგონია, ეს დაბრკოლება იყოს. ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. მე ვფიქრობ, ქვეყნის პირველი პირები და ის ადამიანები, რომლებიც პასუხს აგებენ ქვეყნის მომავალზე, უნდა იყვნენ ქვეყნის მოქალაქეები. კანონში შესატანი ცვლილებები, ვფიქრობ, იგეგმება. ეს ივანიშვილს ხელს არ შეუშლის.

***– ვინ გეგულებათ მის გუნდში მის მემკვიდრედ? შეიძლება, ეს ცუდი სიტყვაა, როგორ ფიქრობთ, ვის შეიძლება, ენდობოდეს?***

– გეთანხმებით, რომ „მემკვიდრე" ცუდი სიტყვაა და შეუფერებელია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. როცა „ქართული ოცნება" აცხადებს, რომ მისი სახელმწიფო მოწყობის მოდელი საპარლამენტო რესპუბლიკაა, გაუგებარია, რომელ მემკვიდრეზე საუბრობს ივანიშვილი. მემკვიდრის მოდელი შუააზიურია. თუ ის წავა პოსტიდან, მაშინ მმართველმა კოალიციამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ხელახალი საპარლამენტო არჩევნების გამართვისა. ხალხმა ის ძალა უნდა მოიყვანოს უმრავლესობით პარლამენტში, რომელსაც ენდობა. რაც შეეხება იმას, თუ ვის გულისხმობს და ვის ენდობა ყველაზე მეტად, მე მგონია, რომ ის ირაკლი ღარიბაშვილს გულისხმობს. მას ყველაზე დიდი ხანია იცნობს. ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა. „ახალ მემარჯვენეებს" არ გვახასიათებს პოლიტიკური მარჩიელობა, მაგრამ მგონია, ამ შემთხვევაში არ ვცდებით და აქცენტი ღარიბაშვილზე კეთდება.

# ვაჟა ოთარაშვილი: „კულტურის სამინისტროში საშინელებები ხდება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ქართველი ლიდერის ძიებაშია 1801 წლიდან დაწყებული. იგი ლიდერს ხან გამოჩენილ მწერალში, ხან გამოჩენილ მეცნიერში, ხან პატრიარქში და ხან პოლიტიკოსში ეძებდა. სამწუხაროდ, როგორც კი ქვეყანა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური კატაკლიზმების წინაშე აღმოჩნდება, ჩვენ რაღაცნაირად უსუსურები ვრჩებით. გვავიწყდება, რომ უმთვრესზე ვიფიქროთ – ღმერთზე, რომ ვართ ქრისტიანი ერი. ქრისტიანი ერისათვის უპირველესი იყო მეფე. მე კიდევ ვიმეორებ, კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა, აუცილებელია, თუნდაც ფორმალური – ერის ფსიქოლოგიური სიმშვიდისათვის. აი, დააკვირდით, რამდენი ადამიანი ააფორიაქა ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ, მე მივდივარ პრემიერ-მინისტრის პოსტიდან. დარწმუნებული ვარ, პრემიერი აიძულეს, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა.

***– ვინ აიძულა? ქვეყნის გარეთა ფაქტორებს გამორიცხავთ?***

– როგორც ევროპამ და ამერიკამ და შესაძლოა რუსეთმაც, ისე შიდა სიტუაციებმა, რომელიც უპირველესად მოდის ნაციონალური ხროვიდან, ასევე კოალიციის შემადგენელი პოლიტიკური ერთეულებიდან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პრემიერი შეზარა იმ სიტუაციებმა, როცა გაერკვა, ქვეყანაში რაც ხდება. ივანიშვილი ძლიერი პიროვნება რომ არ იყოს და არ შეეძლოს ოპტიმალური გათვლების გაკეთება და წონასწორობის შენარჩუნება, ის ამხელა ქონებას ვერ დააგროვებდა. თანამედროვე მსოფლიოში ამხელა ქონების მოხვეჭა შემთხვევით არ ხდება. მაგრამ პოლიტიკური თამაშები, როგორც ჩანს, მისტერიულ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია, ძალიან ბინძური ხერხებით მიმდინარეობს. მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილს თავის სათქმელი ბოლომდე არ უთქვამს. მისგან ეს განცხადება მინიშნებით იყო თქმული, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ რამდენიმე ხანში იგი დატოვებს პოლიტიკურ ასპარეზს. თუმცა იქვე კომენტარი გააკეთა, თუ ქვეყანაში არ იქნება მდგრადი ვითარება, ეს ეხება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურს და სოციალურს, იგი ბუნებრივია, გააგრძელებს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნას. მაგრამ აქვე ჩნდება ერთი საინტერესო განცხადება, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ავრცელებს – 1 იანვრის შემდეგ შეიძლება სადავო გახდეს ბიძინა ივანიშვილის პრემიერად ყოფნა, თუ იგი საქართველოს მოქალაქე არ იქნება; ან თუ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონში ცვლილება არ შევა, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის მოქალაქეების მაღალ თანამდებობაზე ყოფნას. მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი რაღაცნაირად ერთმანეთთან კავშირშია. ამ განცხადებების დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამიტომაც მე, პირადად, ამ განცხადებებში პოლიტიკურ კორელაციას ვხედავ. კიდევ ვიმეორებ, ქართველი საზოგადოების აქტიურობაზე არის დამოკიდებული ყველაფერი, რადგანაც ახალმა მთავრობამაც ნაციონალების ხრივის მსგავსად, უტიფრად ხელის ფათური დაიწყო საქართველოს მოქალაქეების ჯიბეებში.

***– ხელის ფათურში რას გულისხმობთ?***

– ეს სხვადასხვა გზებით გამოიხატება. ერთ მარტივ მაგალითს გეტყვით: ძალიან კარგია, რომ ვიდეოკამერები დააყენეს გზებზე, სკვერებში. მაგრამ დააკვირდით ავტომობილების დაჯარიმების სისტემას, რამხელა ჯარიმებია. მაშინ, როდესაც მოქალაქის შემოსავალი თვეში 300-400 ლარია, თითოეული ჯარიმა 50-დან 20 ლარამდეა. სამაგიეროდ, გზები ისევ მოუწყობელია. დედაქალაქის ქუჩები ისევ ორღობის მსგავსად უსწორმასწოროა. ქუჩები დახაზული არ არის, სამაგიეროდ, ფულის შოვნის ახალი მეთოდი მოიგონეს შსს-ში და ქალაქის მერიაში. ასევე მოუწესრიგებელია ჯანდაცვის სისტემა, თუმცა მინისტრი სერგეენკო თავს იწონებს, რომ ყველაფერი კარგადაა. ფაქტობრივად, საქართველოს მოსახლეობა განწირულია და უფლის ანაბარადაა დარჩენილი. ქართველმა ხალხმა არჩევნებზე ერთდაერთ კაცს – ბიძინა ივანიშვილს მისცა ხმა. ქართველების ცნობიერებაში ივანიშვილი არის მეფე. იმიტომ, რომ ქართული სახელმწიფო იყო ყოველთვის სამეფო სახელმწიფო. ამ შემთხვევაში ხალხმა კეთილ მეფეს დაუჭირა მხარი, რომელიც სამართლიანობის აღდგენას დაპირდა, რაც გამოიხატებოდა კრიმინალური ნაციონალური ბანდის გასამართლებაში და ყველას თავისი კუთვნილი სასჯელის მიღებაში, რასაც ისინი იმსახურებდნენ 9 წლის მანძილზე ქართველი ხალხის წამების გამო და მეორე – სოციალური პირობების გაუმჯობესებაში, რაც გამოიხატებოდა ფასების კლებაში და სამუშაო ადგილების შექმნაში. „ქართულ ოცნებას“ არც ერთი ეს დაპირება არ შეუსრულებია. ოდნავ ძვრებს აქვს ადგილი. 9 თვეზე მეტი გავიდა, ეს პატარა დრო არ არის. ის, რომ სამინისტროებში ისევ ნაციონალური ხროვის დანატოვარი კადრებია, ეს თავის შედეგს გამოიღებს. ბევრი საჯარო სამსახური ისევ ნაციონალების კონტროლქვეშაა. ვნახეთ, „ქართულმა ოცნებამ“ რადიკალურ ნაბიჯებს რომ არ მიმართა, როგორი სავალალო შედეგი მოგვცა სასამართლოებთან მიმართებაში.

***– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალ შემადგენლობას გულისხმობთ და მოსამართლეთა კონფერენციის შედეგებს?***

– რა თქმა უნდა. კუბლაშვილის სასამართლო, რომელიც იყო ჩვეულებრივი კრიმინალური ბანდა, ხალხი, რომელიც ათიათასობით საქართველოს მოქალაქეს, ყოველგვარი დანაშაულის გარეშე, უშვებდა ციხეში; რომელიც „უპრავებდა“ ადეიშვილის იუსტიციის სამინისტროს და მერაბიშვილის სადამსჯელო პოლიციის უწყებას განაჩენებს, დღეს კუბლაშვილი დიდი რიხით გველაპარაკება, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომ აირჩიეს ახალი იუსტიციის საბჭო და იგივე ხალხი თურმე განსჯის საქართველოში სამართალს. საქართველოში თემიდა მართლაც თვალახვეულია, თვალდათხრილია და საერთოდ, თვალებდაფსებულია. ეს არის ყველაზე დიდი უბედურება. ეს რომ არ იყოს, 9 თვე საკმარისი დროა იმისათვის, რომ პრეზიდენტსაც წარდგენოდა ბრალი იმ დანაშაულობებისთვის, რაც მისი პოლიტიკის წყალობით ჩაიდინა მან და მისმა ხელისუფლებამ. ანუ 9 თვის შემდეგ საქართველოში სამართალი არ აღმდგარა. არც ინსტიტუტი შექმნილა და ძვრები არ ყოფილა, რომ ეს სისტემური დანაშაული, რომლის მომსწრენით ვართ, გამოძიებულიყო და მისი ავტორები დასჯილიყვნენ. სისტემურ დანაშაულს სისტემური ბრძოლა უნდა და ტანაც რადიკალური და არა ორი-სამი პიროვნების – ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის ციხეში ჩასმა. სისტემურ დანაშაულს სისტემური ბრძოლა უნდა და არა შერჩევითი სამართალი და კოჰაბიტაციისთვის ზრუნვა.

***– ბოლოს, ბატონო ვაჟა, თქვენ ფაქტობრივად ყველა მიმართულებით წარმოებული რეფორმები დაიწუნეთ. კულტურის სამინისტროს ნაბიჯებზე რას იტყვით?***

– კულტურის სფეროში იმაზე უარესი ხდება, ვიდრე ნებისმიერ სფეროში. აღარ მინდა გითხრათ, ივანიშვილისადმი ჩემს ღია წერილში, სადაც ყველაფერს ვწერდი. პასუხიც არ მიმიღია ამ ღია წერილზე, სადაც კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას ვამხელდი კულტურის სამინისტროს კრიმინალურ და ანტიკონსტიტუციურ ქმედებებში.

# თბილისის მერიამ და საკრებულომ 50 მილიონ ლარზე მეტი გაფლანგეს!

## უგულავა პროკურატურაში ჩივის

შორენა გონგლაძე



**„უცნაური სამართალწარმოება“ – ასეთი შეფასება მიეცა გუშინ, დილით ჩატარებულ პატარა სპეცოპერაციას, რომლის დროსაც ნაციონალური მოძრაობის წევრების სიმშვიდე ხელისუფლებამ სულ ცოტა ხნით, მაგრამ მაინც დაარღვია. როგორც მოგეხსენებათ, გუშინ, დილით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს თბილისის მუნიციპალიტეტის და მერიის თანამშრომლების დაკითხვაზე მისაყვანად იძულებითი წარმოდგენის ღონისძიების ჩატარება მოუხდათ. მართალია ჩვეულებრივ მოკვდავთ აღნიშნულ ქმედებაზე ბევრი კითხვა შეიძლება გაუჩნდეს, მაგალითად, რატომ არ მოხდა მათი დაბარება დაკითხვაზე უწყების საშუალებით, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამხელა წარსულის მქონე ნაციონალურ მოძრაობას, რომლის ანგარიშზეც გასული ცხრა წლის განმავლობაში არაერთი სისხლიანი სპეცოპერაცია და კანონდარღვევაა, სწორედ ის ხალხი დღეს მომხდარის გამო გაოცებას ვერ მალავს. ჩატარებული სპეცოპერაციით აღშფოთებული არიან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. მათი თქმით, ეს არის გაუგონარი უკანონობა, რომელსაც ხელისუფლება მათი მისამართით ახორციელებს.**

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თბილისის მუნიციპალიტეტის 30 თანამშრომელი დააკავა. თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე, თბილისის მერის მოადგილე დავით ნინიძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ახვლედიანი, გლდანის რაიონის გამგებელი ნოდარ სანდუხაძე, თბილისის მერიის შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი ლექსო თაბუაშვილი, თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი დავით ავალიანი, თბილისის საკრებულოს წევრი ვახტანგ ცაგარეიშვილი, ისნის რაიონის გამგებლის მოადგილე ბესო კვიციანი, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ნიკოლაძე, ისნის რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი ლევან ნებიერიძე, ისნის რაიონის განყოფილების უფროსი ზურა კიკვაძე, ლილოს მუნიციპალიტეტის უფროსი ავთო სულაბერიძე, ლილოს მუნიციპალიტეტის უფროსის მოადგილე ნიკო აბრამიშვილი, სამგორის რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი ბექა მეშვილდიშვილი, საბურთალოს რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი ვახტანგ გაგუა, საბურთალოს რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი მიხეილ ქვირია, ავჭალის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ ღვინიანიძე, გლდანის მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი მამუკა ბერაძე, ავჭალის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ჩაფიჩაძე, ნაძალადევის რაიონში ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი დარჩია, მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე დიმიტრი ჩხეიძე, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ზაზა გუდიაშვილი და მამუკა თევზაძე, დაკავებულები დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა განაცხადა, თბილისის მერიის და გამგეობების თანამშრომლები მოწმის სახით დაიკითხნენ, სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც მათი ინფორმაციით მერიის ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისება გაფლანგვას უკავშირდება. ფინანსთა სამინისტრომ ასევე გაავრცელა ვიდეომასალა, სადაც ასახულია თუ როგორ გამოაქვთ ბიუჯეტიდან თანხები.

– გამოძიება დადასტურებულია, რომ ქალაქ თბილისის მერიის მაღალი თანამდებობის პირების უშუალო ორგანიზებითა და დანაშაულებრივი ხელშეწყობით, თბილისის რეაბილიტაციის ფონდიდან გაფლანგულია 50 მილიონ ლარზე მეტი. მათ შორის რამდენიმე ათეული მილიონი ლარი ბანკიდან ნაღდი ფულით არის გამოტანილი და სავარაუდოდ მითვისებული. ამ საქმის ნებისმიერი სახის პოლიტიზებას ჩვენ განვიხილავთ როგორც პასუხისმგებლობიდან თავის არიდების მცდელობას, რასაც არ დავუშვებთ. საბიუჯეტო თანხების სავარაუდო მითვისება-გაფლანგვასთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება და გამოძიების დასრულებისთანავე, საზოგადოებას მიეწოდება დეტალური ინფორმაცია, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მომხდარი ნაციონალურმა მოძრაობამ ოპონენტებზე ზეწოლის კამპანიად შეაფასა.

თუმცა, თბილისის მერიის ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ მათ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ბორკილები დაადეს და თავდაპირველად უთხრეს, რომ ისინი დაკავებულები იყვნენ.

საკრებულოს წევრის, მამუკა ახვლედიანის განცხადებით, მას სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა გზა გადაუკეტეს, თავიანთ მანქანაში გადასვეს და უთხრეს, რომ დაპატიმრებული იყო, რის შემდეგაც ის გარკვეული დროის განმავლობაში ქალაქის ქუჩებში ატარეს, შემდეგ ხელბორკილები მოხსნეს, ბოდიში მოუხადეს და გაუშვეს.

მომხდარს თბილისის მერი გიგი უგულავა პრესკონფერენციით გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ახალმა ხელისუფლებამ მის თანაგუნდელებზე ნადირობა დაიწყო, რომ დაკავებულთა ნაწილზე მოასწრეს ბრალის წაყენება და შემდეგ ეს დოკუმენტაცია დაიხა იმისათვის, რომ გადაეკეთებინათ თითქოს ეს ხალხი მოწმედ იყო მიყვანილი.

– ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თბილისის მერიის თანამშრომლები და საკრებულოს უმრავლესობის წევრები ქუჩაში იძულების გამოყენებით, ხელბორკილების დადებით დააკავა. გამომძიებლებმა საგამოძიებო სამსახურში მიყვანისას მათ მიმართ ბრალის წარდგენისა და დაკავების ოფიცალურად გაფორმების პროცედურა დაიწყეს, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო, მათ ეს პროცედურა შეწყვიტეს და მოხდა დაკავებული პირების ფორმალურად დაკითხვა, იმისათვის, რომ მათი საგამოძიებო ორგანოში ყოფნის ფაქტი გაემართლებინათ. ზოგიერთი მათგანი დაკითხვის გარეშე იქნა უკანონოდ დაკავებული. აღნიშნული წარმოადგენს მათთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას, რაც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა. ასევე ხაზი უნდა გაესვას, რომ დაკავებისას მათ არ განუმარტეს მათი უფლება-მოვალეობები და არ მიეცათ ადვოკატით სარგებლობის უფლება. ამით უხეშად დაირღვა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო კონვენციებით განმტკიცებული ადამიანის უფლებები. მოვითხოვთ საქართველოს მთავარი პროკურორისგან, გამოძიებული იქნეს აღნიშნული საქმე და დანაშაულის ჩამდენი პირები სათანადოდ დაისაჯონ. აღნიშნული წარმოადგენს თბილისის მერიასა და საკრებულოს წევრებზე უპრეცედენტო პოლიტიკურ ზეწოლას, რაც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა. იმის გამო, რომ ვიღაცა რეკავს ზემოდან, იმის გამო, რომ მე პირადად განგაშის ზარი შემოვკარი და დღევანდელი ხელისუფლების ბევრ მაღალჩინოსანთან მქონდა საკმაოდ მწარე საუბარი და მხოლოდ იმის გამო, რომ დღეს რასმუსენი თბილისში იმყოფება და არა იმის გამო, რომ კანონის უზენაესობას უნდა ვცეთ პატივი, ხდება ბრალის გადაყენება და თითქოს ეს ხალხი მოწმის სახით იყო დაბარებული, – განაცხადა უგულავამ. მისსივე განცხადებით, ეს ყველაფერი ხალხის დაშინებას ემსახურება.

– ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ემსახურება იმას, რომ მოხდეს ბოლომდე დაშანტაჟება და განადგურება ნაციონალური მოძრაობის პარტიული ინფრასტრუქტურის, ბუნებრივია, ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ მოხდეს ამ ხალხის დაშინება, რომ წინასაარჩევნოდ და მოგეხსენებათ რამდენიმე თვეში საპრეზიდენტო არჩევნებია, ამ ხალხმა თავისუფლად გამოხატოს თავისი პოლიტიკური ნება. ეს ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ ოპონენტები განადგურდეს საქართველოში უკლებლივ ყველა დონეზე, აქ იგულისხმება პარლამენტი, თბილისის თვითმმართველობა და სხვა ე.წ. დაუმორჩილებელი თვითმმართველობები, – განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, უკანონო დაკავების ფაქტს მთავარ პროკურატურაში გაასაჩივრებენ.

უგულავა იმედოვნებს, რომ მომხდარზე პროკურატურა რაც შეიძლება მოკლე ხანში გასცემს პასუხს.

მომხდარს გამოეხმაურა საპარლამენტო უმცირესობაც. როგორც პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე პარლამენტის უმცირესობის წევრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, ეს იყო პირდაპირი თავდასხმა ადგილობრივ თვითმართველობაზე და პირდაპირი თავდასხმა ოპოზიციურ ძალაზე.

– ჩვენ ამაში ვხედავთ გაგრძელებას იმისას, რაც დღეების განმავლობაში გვესმის, რომ ხელისუფლებას არ უნდა ჰყავდეს ასეთი ოპოზიცია და უნდა წავიდეს პოლიტიკური ასპარეზიდან. ეს არის ძალიან საგანგაშო და ძალიან უარყოფითი რამ საქართველოსთვის. ნიშანდობლივია, რომ რატომღაც ეს ემთხვევა ნატოს ოფიციალური დელეგაციის ვიზიტს საქართველოში. ნიშანდობლივია და უცნაურია ისიც, რომ თვეების წინ სამხედრო კომიტეტის ვიზიტის წინ მოხდა გენშტაბის თანამშრომლების და მისი ხელმძღვანელის დაკავება. ეს შეიცავს პოლიტიკური პროვოკაციის ნიშნებს და დასადგენია, რა არის ეს და რასთან გვაქვს საქმე, – განაცხადა გაბაშვილმა. მისსივე თქმით, ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ადამიანებს რამდენიმე საათით უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ვინც სამართლებრივად განუმარტავი ქმედება განახორციელა, კანონის შესაბამისად უნდა მოეთხოვოს პასუხი.

– ყველასგან, ვინც დაგეგმა, ბრძანება გასცა და განახორციელა და უთუოდ ეს არის მაღალი თანამდებობის პირების მიერ გაცემული ბრძანება, რადგან 30-მდე პირის მიმართ ერთად განხორციელდა და ასრულებდა ფინანსური პოლიცია, ველოდებით პოლიტიკურ პასუხებს, ვინ განიზრახა და რატომ ასეთი შეტევა ნაციონალურ მოძრაობაზე და რატომ მოხდა ასეთ უკანონობის განხორციელება ნატოს ვიზიტისას, – აღნიშნა დეპუტატმა. მისივე თქმით, ყველას უნდა ესმოდეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დატერორება, მის წინააღმდეგ გადადგმული ასეთი ნაბიჯები და მცდელობა, რომ ოპოზიცია ჩამოაცილო ყველაფერს, გაანადგურო და გააქრო, არის მცდელობა, რომელიც ამ ქვეყნის ხელისუფლებას ძალიან ცუდად მოუბრუნდება.

დავით ბაქრაძის განცხადებით, ოპოზიციაზე ასეთი მასშტაბის შეტევა არის უაღრესად ცუდი ნიშანი ქვეყნისთვის, მით უმეტეს, რომ ეს ხდება მაშინ, როდესაც აქ იმყოფება ნატოს გენერალური მდივანი და მაშინ, როდესაც მთელი აქცენტი ჩვენი თუ ნატოელი მეგობრების არის იმაზე, რომ ქვეყანაში უნდა იყოს დემოკრატია, სადაც ოპოზიციას ექნება მუშაობის და განვითარების საშუალება.

– ვფიქრობ, რომ ეს არის უაღრესად საგანგაშო და ცუდი ნიშანი და ველოდები, რომ ეს პრობლემა გადაწყდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით, მივიღოთ ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებები, მათ შორის არჩევნებთან დაკავშირებით იმიტომ, რომ ის, რაც ხდება, პრაქტიკულად არის პირდაპირი შეტევა პარტიის ინფრასტრუქტურის დანგრევის და მოშლის მიზნით, – განაცხადა ბაქრაძემ.

# შსს თბილისში სისწრაფის განმსაზღვრელი ახალი რადარების ადგილმდებარეობისა და დაშვებული სიჩქარის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს



შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და საკვანძო ადგილებზე, სადაც სიჩქარის გადაჭარბების რისკი ყველაზე მეტია, სისწრაფის განმსაზღვრელი 15 ახალი რადარი დამონტაჟდა.

საპატრულო პოლიციის ინფორმაციითვე, თითოეული რადარის სიახლოვეს

განთავსებულია სიჩქარის შეზღუდვის და რადარის მაჩვენებელი საგზაო ნიშნები,

რომლებზეც გამოსახულია ვიდეოკამერა და დასაშვები სიჩქარე.

იქიდან გამომდინარე, რომ თბილისში მომხდარი ავტო-საგზაო შემთხვევების

უმრავლესობის გამომწვევი მიზეზი გადაჭარბებული სიჩქარე და ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვაა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება რადარების დამატების შესახებ.

„რადარების დამონტაჟება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მძღოლთა და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებას და გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის მაქსიმალურად შემცირებას. საპატრულო პოლიციამ დედაქალაქში კიდევ ერთი სიახლე დანერგა – ყველა ქუჩაზე, სადაც დაშვებული იყო 60კმ/სთ სიჩქარით მოძრაობა (გარდა ვაჟა-ფშაველას გამზირისა), დასაშვები სიჩქარე 10 კმ/სთ-ით გაიზარდა. აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მძღოლს შეუძლია დადგენილ ზღვარს 15 კმ/სთ სიჩქარით გადააჭარბოს" – აცხადებენ საპატრულო პოლიციაში.

რადარის მიერ დაფიქსირებული გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა

ფიქსირდება სპეციალური კამერის მეშვეობით და მფლობელს შესაბამისი ადმინისტრაციული ჯარიმა, რეგისტრაციის ადგილზე მისდის. ამავდროულად, საპატრულო პოლიცია საჯარიმო ქვითრის ჩაბარებამდე დამრღვევ მძღოლს ესემესით

აფრთხილებს. ასევე, ჯარიმის გადახდის ვადის ამოწურვამდე 5 დღით ადრე მოქალაქეს

ესემესით კვლავ მისდის შეტყობინება.

ახლო მომავალში საპატრულო პოლიცია ქვეყნის მასშტაბით ცენტრალურ

მაგისტრალებსა და ქალაქებში სისწრაფის განმსაზღვრელი ახალი რადარების დამონტაჟებას გეგმავს.

თბილისში დამონტაჟებული ახალი რადარები ადგილმდებარეობა და დასაშვები სიჩქარის მაჩვენებელი კი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. კახეთის გზატკეცილი №18 (სამგორის მეტროსთნ)
80+15
2. კახეთის გზატკეცილი №39 (პეპელას ხიდი)
80+15
3. მარჯვენა სანაპირო ბაქრაძის ქ. (პაპილონი)
70+15
4. ალმაშენებლის ხეივანი (ახალ ნათებასთან)
80+15
5. ალმაშენებლის ხეივანი (სასოფლოსთან)
80+15
6. ბალანჩინი – შეშელიძის ქუჩები (გლდანის ხიდები)
70+15
7. მარჯვენა სანაპირო (ჯეოსელის ოფისთან)
70+15
8. მარჯვენა სანაპირო (300 არაგველის მემორიალი)
70+15
9. ვაშლიჯვრის და ნუცუბიძის პლატოს დამაკავშირებელი გზა
80+15
10. მარცხენა სანაპირო (შალიკაშვილის ხიდი)
70 +15
11. ვაჟა-ფშაველას გამზ. №36 (სამედიცინო ინსტიტუტი)
60+15

**ნიუსპრესი**

# „ჰერკულესიც" ვანოსია?!

*როლანდ ხოჯანაშვილი*

საქართველო ოდითგანვე ცნობილი იყო მეტალურგიით. არსებობს მოსაზრება, რომ მეტალურგიის სამშობლო ქართულ სახელმწიფოთა შორის უნდა მოვიძიოთ, ან თუ დავაზუსტებთ, ხალიბებს, ძველქართულ ტომს, დაუწყია პირველად ლითონის მიღება-დამუშავება. ისტორიულ წიაღსვლას თუ დავანებებთ თავს და საქართველოს მეტალურგიულ პოტენციალს გადავავლებთ თვალს, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ლითონგადამამუშავებელ წარმოებას აქვს პერსპექტივა. ფერადი და შავი მეტალურგიისთვის საჭირო ნედლეულის უმეტესობა საქართველოშივეა თავმოყრილი. უმაღლესი ხარისხის მანგანუმი, ფეროშენადნობი, ფლუსი, კოქსვადი ქვანახშირი, ფერადი ლითონის წიაღისეული და ელექტროენერგია ჩვენს ქვეყანაში იმდენია, რომ უახლოეს ასწლეულში არამარტო შიდასახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეძლებს. მეტალურგიის ფლაგმანები (იაპონია, აშშ, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი) ქართული მეტალურგიული პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე დომინირებას არ დაუშვებს, მაგრამ იაფი მუშახელი, რომელიც საქართველოშია, მაინც მომგებიანს ხდის მეტალურგიულ კომპლექსს. მიუხედავად არაერთგზის გაფიცვისა, ქართველი მეტალურგები ვერ აღწევენ საწადელს და ოდვაც ვერ უტოლდებიან სამუშაო პირობებით თუ ანაზღაურებით აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში დასაქმებულ კოლეგებს.

თუ მეტალურგიაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში რუსთავისა და ჭიათურა-ზესტაფონის გახსენება მოგვიწევს, თუმცა ერთ დროს უხარისხო ავტომწარმოებელი ქუთაისიც ჩაერთო ლითონპროდუქციის წარმოებაში. კერძოდ, მეტალურგიული საწარმო „ჰერკულესი" ჯართის გადამუშავებით ღებულობს არმატურას, რომელზეც მოთხოვნა ძირითადად სამშენებლო სექტორს გააჩნია.

ქუთაისელი მეტალურგების საკითხი საკმაოდ პრობლემურია და მასზე პარტია „თავისუფალმა საქართველომ" განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა. აღნიშნული პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის წევრებმა ავანგარდის დასახლებაში მდებარე ქარხანა „ჰერკულესში" არსებული მდგომარეობა გააპროტესტეს, პარტიის წევრების განცხადებით, ქარხანა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დროებით დაიხურა, თუმცა გოგი წულაიას თქმით, მისი მესაკუთრის, ვანო მერაბიშვილის, დაკავების შემდეგ მუშაობა ისევ განაახლა.

წულაიას თქმით: „გაურკვეველია, მოხდა თუ არა მესაკუთრის შეცვლა, მაგრამ მუშების მდგომარეობა არ შეცვლილა: ისინი კვლავ მძიმე პირობებში განაგრძობენ საქმიანობას – დღის განმავლობაში 12 საათიან რეჟიმში 1 საათიანი შესვენებით მუშაობენ. მივმართავთ ხელისუფლებას, მოხდეს ქარხანაში მომუშავე ადამიანების მდგომარეობის გარკვევა და დასაქმებულებისთვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა..."

2011 წელს ქუთაისელი მეტალურგების გაფიცვა ძალადობრივი გზით შეწყვიტეს. ამ თემით მაშინ ზედმიწევნით იყო დაინტერესებული თავისუფალი მედია, თუმცა მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობამდე მხოლოდ ის ინფორმაცია მივიდა, რომ გაფიცულთა აქტივი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს (დაახლოებით 40 მუშა) და წარმოების ხელისშეუშლელობის ხელწერილით გამოუშვეს. „თავისუფალი საქართველოს" წევრები კი ამბობენ: „ეს იყო 26 მაისის მსგავსი დარბევა. ჩამოყვანილმა სპეცრაზმელებმა აქციის მონაწილეებს ყველა გზა გადაუკეტეს. დარბევის შემდეგ კი, ყველა დააპატიმრეს და წამებისა და ჯარიმის გადახდის მერე გაათავისუფლეს."

ამ გაფიცვის მიზეზი მხოლოდ ის გახლდათ, რომ მუშები მოითხოვდნენ ნორმალურ სამუშაო პირობებს, ხელფასების მომატებასა და სპეცტანსაცმლით მომარაგებას. გუბერნატორი მაქაცარია და სხვა იმჟამინდელი მაღალჩინოსნები დარბევას შორიდან ადევნებდნენ თვალს. მათ მოსახლეობის სასიკეთოდ არაფერი გაუკეთებიათ, ამტკიცებენ კუკავას თანაპარტიელები.

ცალკე საკითხია ისიც, რომ „ჰერკულესის" გარემოზე ზემოქმედებით აღშფოთებულია მოსახლეობაც. მათ კარგად იციან, რომ ამ წარმოების გამო ეკოლოგიური პრობლემა კიდევ უფრო მეტად მძაფრდება, თუმცა „ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის." არასამთავრობო სექტორმა „ჰერკულესს" რამდენჯერმე მიუთითეს ხარვეზების გამოსწორების მიზნით, მისცეს რეკომენდაციებიც. წარმოება როგორ ანეიტრალებს დაახლოებით 1 ტონა მტვერს, რომელიც ყოველდღიურად გამოიყოფა, არავინ იცის (ეს ინფორმაცია გაცემულია „ეკოინიციატივის" მიერ). მკითხველს შევახსენებ, რომ „ევრაზიანსთილზის" ქარხანა „ჰერკულესი" 2009 წლიდან არსებობს, მისი წლიური საქონელწარმოება 18 ათასი ტონა არმატურით განისაზღვრება. ამის გამო, სავსებით შესაძლებელია, დავასკვნათ რომ ერთი წლის განმავლობაში ქუთაისში დაახლოებით 300 ტონა მტვერი განიბნევა ნახშირორჟანგის, აზოტოვანი და გოგირდოვანი ოქსიდების თანხლებით.

ცალკე თემაა ამ ქარხანაში დასაქმებულთა ეროვნული სტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისი ამ ბოლო პერიოდში მონოეთნიკური ქალაქი გახდა, მაინც შეიმჩნევა არაქართველთა ხვედრითი წილიც. ტურისტული ნაწილი აშკარად გამოირჩევა იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ეკონომიკური მიგრაციის შედეგად მოხვდნენ ქუთაისში. ორიოდე დღის წინ ინდოელი მამაკაცები „თეთრი ხიდის" სიახლოვეს შევამჩნიე, თუმცა მათთან გასაუბრება ვერ მოვახერხე ენობრივი ბარიერის გამო. ადგილობრივების განცხადებით, ინდოელები საქართველოში შედარებით უკეთესი სამუშაო პირობების გამო ჩამოდიან. „რა არის ამნაირი დაქცეული ეს ინდოეთი, ჩვენნაირ ლატაკ ქვეყანაში რომ გამორბიან?!"–სვამენ რიტორიკულ კითხვას ქუთათურები.

2011 წლის 26 სექტემბერს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში გამოძიება დაიწყო შპს „ევრაზიანსტილსის" ქარხანა „ჰერკულესში" ინდოეთის მოქალაქეების ექსპლოატაციის ფაქტზე. საქმე აღძრული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო მიღებული ინფორმაცია ქუთაისში მდებარე ქარხანა „ჰერკულესში" ინდოეთის მოქალაქეებისათვის პასპორტების შესაძლო ჩამორთმევის, გადაადგილების შეზღუდვისა და ექსპლოატაციის შესახებ. ეს ქარხანა ნაწილობრივ ინდური ინვესტიციითაა შექმნილია, რამაც რამდენადმე განაპირობა კიდეც ინდოელი მეტალურგების ჩამოყვანაც, თუმცა პროკურატურამ ტრეფიკინგის კვალს ვერ მიაკვლია. ინდოელი მუშები არ უჩიოდნენ ქარხანაში არსებულ პირობებს. ისინი თვლიდნენ, რომ საკუთარ სამშობლოში ბევრად უარეს პირობებში მუშაობდნენ და სახელფასო განაკვეთიც ორჯერ ნაკლები ჰქონდათ. ხელფასის გარდა ინდოელები აშკარად კმაყოფილნი იყვნენ კლიმატური გარემოთი, საბინაო-კომუნალური მომსახურებითა და რელიგიური შემწყნარებლობით. ინდოელებს სავიზო რეჟიმი არ დაურღვევიათ და ლეგალურად ცხოვრობენ და მუშაობენ.

2011 წლის სექტემბრის გაფიცვების დროს ინდოელ მუშებს გაფიცვაში მონაწილეობა არ მიუღიათ. „ჰერკულესში" არსებული მდგომარეობა მათთვის არა მარტო ფინანსურად, არამედ ეკოლოგიურადაც მისაღებია. ინდოეთში, მეტალურგიული კომპლექსების ახლოს მტვრის ისეთი ბული დგას, რომ მხედველობა ქვეითდება, თუმცა სახელმწიფო, რომელიც მილიარდზე მეტ მოსახლეს მოითვლის, შრომითი რესურსების ნაკლებობას არ განიცდის არც მეტალურგიაში.

არა მარტო „თავისუფალი საქართველო", არამედ სხვა ორგანიზაციებიც სოლიდარობას უცხადებენ „ჰერკულესის" მიერ დასაქმებულებსა და ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს, თუმცა პოზიტივი ჯერ კიდევ არ ჩანს.

# ნინო ბურჯანაძე: „რომელ დემოკრატიაზე ლაპარაკობს რასმუსენი, რომლის შესახებ კადრების ხილვამაც ყველა შოკში ჩააგდო?"

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტს აფასებს და მის განცხადებებს ეხმაურება.

როგორც ნინო ბურჯანაძე აცხადებს, შეურაცხმყოფელია იმის მოსმენა, რომ საქართველოში, სადაც სულ რაღაც 1 წლის წინ მოხდა 26 მაისის დარბევა, თურმე პრიორიტეტული და მთავარი პრობლემა ლგბტ პირების უფლებების დაცვა ყოფილა.

მისივე თქმით, დაუშვებელია იმ ილუზიის მოსმენა, თითქოსდა საქართველოს ნატოში გაწევრიანება იმაზე იყოს დამოკიდებული, თუ რამდენ ჯარისკაცს გავგზავნით ავღანეთში.

„ბატონი რასმუსენისა და ივანიშვილის ერთობლივი ბრიფინგი მიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რუსეთის პოზიციის მიუხედავად, ნატოში გაწევრიანების არავითარი შანსი, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს პერსპექტივაში, ნამდვილად არ გვაქვს. ძალიან მინდა ყველას ვთხოვო – ილუზიებით ნუ კვებავენ ჩვენს მოსახლეობას. ბატონმა რასმუსენმა პრაქტიკულად გვითხრა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა რაოდენობით იქნებიან ქართული ჯარის წარმომადგენლები ავღანეთში და რა რაოდენობის ჯარისკაცი დაიღუპება. ეს არ არის ბილეთი ნატოს კარში შესასვლელად.

მე არც არასდროს მქონია ილუზია, რომ 1500 კაცით ჩვენი იქ ყოფნა და ათობით ჯარისკაცის დაღუპვა, ნატოში შესასვლელად ჩვენთვის ბილეთია, თუმცა ამას, მუდმივად უსვამდა ხაზს, როგორც წინა ხელისუფლება, ასევე ახალი ხელისუფლებაც. გავიხსენებ პარლამენტის თავმჯდომარის ნათქვამს, რომ არათუ ნატოში შესვლისთვის არის ჩვენი ჯარის იქ ყოფნა საჭირო, არამედ თუ ჯარს გამოვიყვანთ, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებიც კი წავლენო.

ამავე დროს, ბატონმა რასმუსენმა განაცხადა, რომ ნატოში შესასვლელი ბილეთი გადის იმაზე, რასაც საქართველოში არსებული დემოკრატიული ფესვების გაღრმავება ჰქვია. რომელ დემოკრატიულ ფესვებზე ვლაპარაკობთ, იმაზე, რასაც ხალხმა ორი დღის წინ უყურა?

შეურაცხმყოფელია განცხადების მოსმენა, რომ მთავარი პრობლემა საქართველოში ლგბტ პირების უფლებების დაცვა ყოფილა და თურმე შემაშფოთებელია ის ძალადობა, რომელიც თბილისის ქუჩებში ვნახეთ. ოღონდ არავის გახსენებია 26 მაისის ძალადობა, საშინელი ციხის კადრები, არავის უხსენებია დღევანდელ ბრიფინგზე ის შოკისმომგვრელი ვიდეოკადრები, იმდენად შემაძრწუნებელი, რომ ადამიანმა უნდა სცადოს და თავი აარიდოს მის ყურებას.

როდესაც ქვეყანაში სულ რაღაც ერთი წლის წინ მოხდა 26 მაისი, როდესაც იმ ხელისუფლებამ, რომელთანაც კოაბიტაციას დაჟინებით მოითხოვს დასავლეთი და წარმატებით ახორციელებს ახალი ხელისუფლების ნაწილი, სიკვდილამდე მიიყვანა ათასობით ადამიანი და რამდენიმე მათგანი კი მოკლა 26 მაისის აქციაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური იმიჯი დაეზარალებინა, – არ ახსენო ეს ყოველივე და ყურადღება გაამახვილო მხოლოდ ლგბტ აქციაზე, რომელზეც პრინციპში არც ყოფილა ზღვარგადასული ძალადობა, – მიუღებელია. მინდა ვიფიქრო, რომ ნატოს გენერალური მდივანი უბრალოდ არ არის ინფორმირებული, მაგრამ აქ მეორე პრობლემა დგება: თუ არ არის ინფორმირებული, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მთავრობა საერთოდ ვერ მუშაობს საგარეო არენაზე" – განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა ნატოს გენერალური მდივნის საქართველოში ვიზიტის შეფასებისას.

**ნიუსპრესი**



# როგორ ავიცილოთ სითბური დაავადებები

მერი ნამორაძე

**ტემპერატურის მატებამ ჭარბწონიანები, მოხუცები თუ გულით ავადმყოფები უკვე შეაწუხა. ზედმეტი სიცხის დროს ორგანიზმის დამცავმა სისტემებმა შეიძლება ვერ უზრუნველყონ სხეულის შესაბამისი გაგრილება და განვითარდეს სითბური დაავადებები, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ცუდად აისახება და შეიძლება ლეტარულადაც დამთავრდეს.**

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან ახალშობილები, ბავშვები და მოხუცები, გულსისხლძარღვთა დაავადებებით მოავადენი, ასევე ადამიანები ენდოკრინული და ნევროლოგიური დაავადებებით და ფიზიკური პირები, რომლებსაც მუშაობა უწევთ არავენტილირებულ გარემოში. ღისკის ქვეშ არიან ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებლებიც.

სითბური დაავადებების თავიდან აცილება შესაძლებელია. ამისათვის ნებისმიერმა ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა. საჭიროა კონდიცირებად გარემოში, სიგრილეში ყოფნა, რაც პირველ დამცავ ფაქტორს წარმოადგენს სითბოსთან დაკავშირებული ავადობის და სიკვდილობის პრევენციაში. არ უნდა დაგვავიწყდეს მინერალებისა და მარილის, ასევე სითხის დიდი რაოდენობით მიღება და ღია ფერის, მსუბუქი სამოსის ტარება. აუცილებელია ალკოჰოლის და ზედმეტად ტკბილი სასმლის მიღებაზე უარის თქმა. ზედმეტად ცივი წყალიც პრობლემებს ქმნის, შეიძლება კუჭის სპაზმი განავითაროს.

ბავშვებსა და მოხუცებში ცხელ ამინდში სწრაფად ვითარდება დეჰიდრატაცია. მიტომ ხშირად უნდა შესთავაზოთ მათ სითხე და არც მანქანაში დატოვოთ უმეთვალყურეოდ. სითბურ დაავადებებთან ერთად ზაფხულის ცხელ დღეებში ხშირია მზით დამწვრობის შემთხვევებიც, განსაკუთრებით ახალგაზრდა გოგონებში, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ რუჯი კარგ ჯანმრთელობას და ესთეტიურ სილამაზეს ნიშნავს. თუმცა, ნებისმიერი დერმატოლოგი გეტყვით, რომ ნამზეურევი მზისგან გამოწვეული კანის დაზიანებაა, რომელიც ჩნდება კანის პიგმენტური უჯრედების დაზიანებისგან. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, ხშირი გარუჯვა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას, პიგმენტური ლაქების წარმოქმნას, კანის კიბოს განვითარების რისკის მომატებას. მზის სხივებმა არა მხოლოდ კანის პრობლემები, არამედ მხედველობის დარღვევებიც შეიძლება გამოიწვიოს, მაგალითად კატარაქტა, რაც სიბრმავის გამომწვევი წამყვენი მიზეზია. მზის სხივებით და სოლარიუმში ზედმეტად დასხივების შემთხვევაში ვითარდება კანის დამწვრობა. ამ დროს ვითარდება სისუსტე, დაზიანებული უბანი შეშუპებულია, წარმოიქმნება სითხის შემცველი ბუშტუკები, შეიძლება განვითარდეს სხეულის ტემპერატურის მომატება, გულისრევა. მზეზე ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ ამ სიმპტომების გაჩენისთანავე საჭიროა ცივი კომპრესების გამოყენება, დიდი რაოდენობით სითხის მიღება. ექიმის ჩარევა ხდება საჭირო, თუ დამწვრობა მიიღო წლამდე ასაკის ბავშვმა, განვითარდა ცხელება, გაჩნდა სითხით სავსე ბუშტუკები და ძლიერი მტკივნეულობა. დამწვრობის შემდეგ უნდა მოერიდოთ განმეორებით მზეზე გასვლას.

მზით დამწვრობის მიღების რისკჯგუფებს მიეკუთვნებიან ქერა ადამიანები, 6 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვები, 60 წელზე მეტი ასაკის ადამიანები. მზით დამწვრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მზეზე ყოფნის ხანგრძლივობის შეზღუდვა, განსაკუთრებით პიკი საათებში. სასურველია მზისგან დამცავი კრემის გამოყენებაც, რომელიც კანის ტიპის მიხედვით უნდა შეირჩეს.

# ნანა დევდარიანი: „პაატა ბურჭულაძე პრეზიდენტობისთვის მეცოდება“

ნონა ცაბაძე

**ექსპერტი ნანა დევდარიანი გაოცებას ვერ მალავს იმასთან დაკავშირებით, როგორ ჩამოვიდა ნატოს გენერალური მდივანი ასეთი მოუმზადებელი საქართველოში. იგი თვლის, რომ რასმუსენი საერთოდ არ იცნობს განწყობილებებსა და მდგომარეობას და დაზეპირებულივით იმეორებს იმას, რასაც ადრე ამბობდა — ის აკეთებს კომენტარს ისევ 17 მაისის აქციაზე, როცა ჩვენი საზოგადოება შოკშია, ისეთი ფარული მასალა იქნა ამოღებული. ის აბსოლუტურად მოუმზადებელი ჩამოვიდა, — აცხადებს დევდარიანი.**

**„ახალი თაობა“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ნანა დევდარიანთან ინტერვიუს გთავაზობთ.**



***— ქალბატონო ნანა, ამ ყველაფრის ფონზე აქტუალობას არ კარგავს ივანიშვილის განცხადება მისი წასვლის თაობაზე. რამდენად არის ახლა წასვლის დრო და რას ფიქრობთ თქვენ ამ ყველაფერზე?***

— მას თავიდანვე ნათქვამი ჰქონდა ეს და ამაში ახალი არაფერი არ არის. მისი მთავარი მიზანი იყო სააკაშვილისა და მისი რეჟიმის განადგურება. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიაჩნია, რომ ეს ამოცანა იქნება ამოწურული.

***— ფიქრობთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები დაალაგებს სიტუაციას?***

— მე ასე არ მგონია და იმიტომ იყო მერე კორექტირება, რომ სანამ ყველაფერი არ დალაგდება და ყველაფერი არ დალაგდება, სანამ კიდევ ადგილობრივი არჩევნები არ ჩატარდება და ასე შემდეგ. სავარაუდოდ, ის არ უნდა წავიდეს ოქტომბრის არჩევნების შემდეგ და, დავუშვათ, თუ ის ჩათვლის, რომ მისი ამოცანა ამოწურულია, მე, მაგალითად და ჩემნაირად კიდევ ბევრი ადამიანი ფიქრობს, არ გვგონია, რომ მარტო საპრეზიდენტო არჩევნებით მორჩება ყველაფერი. კიდევ უამრავი რამეა გასაკეთებელი. მე მესმის, რომ მისი ცხოვრების მიზანი არ იყო პოლიტიკაში მოსვლა, მაგრამ, რადგან შემოაბიჯა, ეს უკვე გულისხმობს იმას, რომ მზად უნდა იყოს, რათა დარჩენილი ამოცანებიც მოაგვაროს.

***— საპრეზიდენტო არჩევნები ახსენეთ და მინდა, აქვე გკითხოთ: ოპოზიციის ერთი ნაწილი საპრეზიდენტო კანდიდატად პაატა ბურჭულაძეს ასახელებს, თუმცა მისი პოზიცია არ იციან. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა შანსები აქვთ და რამდენად საინტერესოდ წარიმართება პროცესები, თუკი ის მართლაც დათანხმდება ამ შემოთავაზებას?***

— რა ვიცი, ყველა ადამიანი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას. მე, მაგალითად, მართლა მეცოდება პაატა ბურჭულაძე მაგ როლისთვის, იმიტომ რომ, ის არ არის ამისთვის დაბადებული და არც ისეთი მიამიტი ადამიანია, რომ ვერ ხვდებოდეს, ეს რამდენ პრობლემას მოიცავს. ეს დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, როდესაც შენ ხარ პოლიტიკური პარტიის ლიდერი და ასახელებ ნეიტრალურ პიროვნებას. ე.ი. შენ თვითონ არ ხარ მზად მონაწილეობისათვის და, თუ არ ხარ მზად მონაწილეობისთვის, არც ვალდებულება არ არის, გინდა თუ არა, დაასახელო კანდიდატურა. ადრე იყო ასეთი შემთხვევა, ალბათ, ბევრს ახსოვს, არჩევნებზე რომ გადიოდა, შალვა ნათელაშვილმა პრემიერმინისტრობის კანდიდატად დაასახელა ბიძინა ივანიშვილი, თანაც ისე, რომ შეთანხმებულიც არ იყო მასთან. ეს ასე არ კეთდება, ამას სჭირდება კონსულტაციები, ამას უნდა გათვლა და, გარდა იმისა, რომ ხმები გაიყოფა, სხვა არაფერი შედეგი მის კანდიდატურის დასახელებას არ მოჰყვება. მე უკიდურესად დადებითად ვუყურებ, ბევრი წელია ვიცნობ და ცუდს ვერაფერს ვიტყვი პაატა ბურჭულაძეზე.

***— ბურჯანაძის გარშემო რომ შეკრებილიყვნენ, ეს უკეთესი იქნებოდა?***

— რა თქმა უნდა. პირველ რიგში, ეს მათთვის იქნებოდა უკეთესი, მაგრამ საქართველოში, როგორც ყოველთვის, არის გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები, რომლის გამოც არ ხერხდება ხოლმე. იმდენად ბურჯანაძისთვის კი არა, ვთქვათ, კარგი იქნებოდა არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის და ძალიან დასანანია, ისინი ამას თუ ვერ აცნობიერებენ.

***— თქვენი აზრით, რატომ აღმოჩნდა ბურჯანაძე მიუღებელი ოპოზიციის ნაწილისთვის?***

— იმდენად მიუღებელი კი არა, ხანდახან არის ხოლმე, რომ კანდიდატურის სიძლიერე ქმნის პრობლემას. მძიმე წონის კანდიდატურაა და ამაში არაფერია გასაკვირი. მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი ახალგაზრდა ლიდერები უფრო უნდა ფიქრობდნენ ხვალისთვის და ზეგისთვის, ვიდრე ამ წამიერ ამოცანებზე. ხვალისთვის როგორ იქნება უკეთესი, პირველ რიგში ქვეყნისთვის და მერე ამ კონკრეტული პარტიებისთვის.

***— თქვენი აზრით, ოპოზიციის მხარდაჭერის გარეშე ბურჯანაძეს რა შანსები აქვს?***

— არჩევნებს იგებს არა პოლიტიკური პარტიების ერთიანობა, არამედ ამომრჩევლის. ეს არის მთლიანად ამომრჩეველზე დამოკიდებული.

***— ქალბატონო ნანა, რაც შეეხება ნაციონალებს, ვიცით, როგორი ამბავია ატეხილი ამ კადრების მერე. ხალხი აქტიურად ითხოვს რეჟიმის გასამართლებას და ნატოს გენერალური მდივანი კი ისევ 17 მაისის აქციისთვის გვსაყვედურობს.***

— მე პირდაპირ გაოცებული ვარ, ასეთი მოუმზადებელი ნატოს გენერალური მდივანი როგორ ჩამოვიდა, ჩემთვის ეს აუხსნელია. საერთოდ არ იცნობს განწყობილებებსა და მდგომარეობას. დაზეპირებულივით გაიმეორა ის, რასაც ადრე ამბობდა, იმის გათვალისწინების გარეშე, რომ სიტუაციაა აქ გაცილებით შეიცვალა და განწყობილებები გაცილებით დამძიმებულია.

***— ინფორმირებული არ იყო თუ, უბრალოდ, შეგნებულად არ ისაუბრა ამ თემებზე?***

— მე ვფიქრობ, რომ მოუმზადებელი ჩამოვიდა. ის ჩამოვიდა ერთ კონკრეტულ ღონისძიებაზე, რომელიც არავითარ სერიოზულ დატვირთვას, გარდა იმისა, რომ ეს არის მორიგი ფორუმი, არ ატარებს. რადგან ამ ღონისძიებაზე იყო ჩამოსული, ეტყობა, არც იზრუნა იმაზე, რომ რაღაც ინფორმაცია აეკრიბა და მზად ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლაპარაკი 17 მაისზე, როცა ჩვენ ცხვირწინ ასეთი ამბავი გასკდა, ელემენტარულად, გამაღიზიანებელი ფაქტორიც არის ადამიანებისთვის. თვითონ, ალბათ, ცოტა მეტი უნდა იფიქრონ ალიანსის ავტორიტეტზე, იმიტომ რომ, ეს არ არის რასმუსენის პრობლემა. ეს არის პრობლემა, რომ თვითონ ალიანსის მიმართ ჩნდება ძალიან გაღიზიანების მომენტი. ამ ვითარებაში რომელი კოჰაბიტაციაზე შეიძლება ლაპარაკი.

***— რამდენად ხედავთ იმის შანსს, რომ მართლაც აიკრძალოს ნაციონალური მოძრაობა?***

— სრულიად რეალურია. არაფერს საპრობლემოს მე ამაში არ ვხედავ. ამას უნდა პოლიტიკური ნება და საკითხის აღძვრა, თორემ, ეს რომ სისტემური დანაშაულებია, ჩანს ძალიან კარგად და ამას დიდი ფიციმტკიცი არ სჭირდება. ამას უნდა ყველაფერს კონკრეტულად გამოძიება. როგორც კი გამოიძიებენ, თვითონ საქმეები აჩვენებს, რომ ერთი და იგივე მიდგომებია, ერთი და იგივე ინსტრუქციებია, ხელწერაც კი სხვადასხვა საქმეში არის ერთი და იგივე. ახლა შორს რომ არ წავიდეთ უფრო მძიმე დანაშაულებზე, მარტო საკუთრების ჩამორთმევის დამუშავებული სქემა არსებობდა. ციხის წამებას რომ თავი დავანებოთ, ეს იყო სისტემური დანაშაული. ამაზე მეტი რა უნდა თქვა ადამიანმა, ერთი და იგივე ნოტარიუსი დილის ოთხ საათზე, პატიმარი თუ დაკავებული პირი თმობს თავის ქონებას ვიღაცის სასარგებლოდ. ეს ასეულობით შემთხვევაა და ამის დასკვნის გამოტანას, ეს რომ სისტემური დანაშაულია, უნდა დიდი შრომა?! მე მგონი — არა.

***— რაც შეეხება ნატოსა და მასში გაწევრიანებას, იმდენი წელია იძახიან, თქვენთვის კარი ღიააო, მართლა რომ შეგვიშვან, შეიძლება, ამის სურვილი აღარ გვქონდეს.***

— რასმუსენმა იგივე გარკვევით თქვა, იმავეს ვიმეორებთ, რაც 2008 წლის სამიტზე ვთქვითო. რა თქვეს? მაპზე უკეთესიო, თქვეს ნაციონალებმა და ნატომ თქვა, კარი ღიააო და ღია კარში თუ ვერ შეხვედი ორპირი ქარის მერე, არაფერი გამოვა. ახალი არაფერი არ არის ნათქვამი, გარკვევით თქვა რასმუსენმა, თქვენი ჯარისკაცები იქ იმიტომ კი არ არიან, რომ ნატოში გაწევრიანდეთო, გაეროს მანდატის ფარგლებში მისიას ახორციელებენო. თურმე ესეც არ ნიშნავს არაფერს, რომ ჩვენ ნატოს წევრ ქვეყნებზე მეტი ჯარისკაცი გვყავს ავღანეთში. ახლა ამაზე უფრო გამჭვირვალე ნათქვამი, რომ, კი გპირდებით, მაგრამ ეს როდის იქნება არავინ არ იცის, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა... გასაგებია, რაც თქვა. ახლა ილუზიებში თუ უნდა ვინმეს ყოფნა, ეს ცოტა არ იყოს პრობლემურია, ისევე, როგორც რუსეთისთვის არ არის თურმე ეს გამაღიზიანებელი ფაქტორი და მერე რა, რომ რუსეთს არ უნდა, სამაგიეროდ, საქართველოს უნდა. ეყრდნობიან 2008 წელს ჩატარებულ პლებისციტს, რომელიც გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების დროს ჩატარდა. ახლა იქ, სადაც გაყალბდა საპრეზიდენტო არჩევნები, ნატოს პლებისციტის გაყალბებას რა უნდოდა? აბა, ახლა ჩაატარონ პლებისციტი და ნახონ, რა ხმებს მიიღებს ნატო, რა მხარდაჭერა ექნება მოსახლეობაში.

***— დიდი იმედგაცრუებაა ამ კუთხით მოსახლეობაში.***

— დიახ, დიდი იმედგაცრუებაა და რასმუსენის გუშინდელი განცხადება სერიოზული იმედგაცრუებაა ქართველი ამომრჩევლისთვის.

***— როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა, რა უნდა გააკეთდეს ამ კუთხით? მაინცდამაინც დაჟინებით უნდა ვიმეოროთ, რომ ჩვენ შევალთ ნატოში, თუ შეიძლება, შეიცვალოს ტონი, რიტორიკა...***

— რა თქმა უნდა, უნდა შეიცვალოს. რა აუცილებელია იმავე რიტორიკის გაგრძელება, რომელმაც, პირდაპირ ვთქვათ, არაფერი მოიტანა ქვეყნისთვის სასიკეთო, ან ვის რას ვუმტკიცებთ, ან რისთვის იღუპებიან ეს ბიჭები, როცა ნატოს წევრ ქვეყნებს გაცილებით ნაკლები წარმომადგენლობა ჰყავს. ან მიიღონ ნატოსგან გარკვევით პასუხი, რას ვიღებთ ჩვენ ამხელა კონსტრიბუციის საფასურად? იქნებ რაღაც არის და ჩვენ არ ვიცით? მაშინ, გაგვაგებინონ!

***— როგორი უნდა იყოს ჩვენი ხელისუფლების კურსი?***

— ხელისუფლების კურსი უნდა იყოს არც პროდასავლური და არც პრორუსული. ეს უნდა იყოს პროქართული. პროქართული კი, პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ არჩევნები იმიტომ ტარდება და მოსახლეობა იმიტომ აძლევს ხმას რომელიმე პარტიას და სხვას არა, რომ მისი მოლოდინი გამართლდეს. აი, ეს არის მთავარი და დანარჩენი ყველაფერი, აი, ხომ არის ძირითადი კერძი და არის საკმაზი, გარნირს რომ ვეძახით, დანარჩენი არის გარნირი. ამ გარნირით ახლა ვერავინ შეგვიცვლის ჩვენს ძირითად და აუცილებელ კერძს, იმას, რომელიც ჩვენს ქვეყანას სჭირდება.

# ვინ მიიღებს 3.500 ევროს?

დასაწყისი მე-12 გვერდზე



— ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვინც დაბადებულია საქართველოში, არის საქართველოს მოქალაქე ან ბოლო 15 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში. დრამატურგმა უნდა წარმოადგინოს ახალი პიესა „საზღვრების შესახებ“, კერძოდ, როგორია ცხოვრება საქართველოში სოციალური და ეკონომიკურ-პოლიტიკური ცვლილებების ეპოქაში. პიესა უნდა დაიწეროს ქართულად და ახლდეს თარგმანი ინგლისურ ენაზე (სამუშაო ვარიანტი). საკონკურსო პიესა არ უნდა იყოს ამ დრომდე გამოქვეყნებული ან დადგმული. პიესები ანონიმურად გადაეცემა 5 წევრისაგან შემდგარ საერთაშორისო ჟიურის. გამარჯვებულის ვინაობა კი გამოცხადდება 2014 წლის თებერვალში საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით. გამარჯვებული პიესის ავტორი მიიღებს 3.500 ევროს. გამარჯვებული პიესა დაიბეჭდება 11000-იანი ტირაჟით და გავრცელდება გერმანულენოვან ქვეყნებში. ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე გაიმართება პიესის პრეზენტაცია. პიესა დაიდგმება გერმანიის ნაციონალური თეატრის სცენაზე, — განაცხადა თუმანიშვილის ფონდის ხელმძღვანელმა მანანა ანთაძემ.

# კრიმინალური პოლიციის უფროსად ზურაბ გამეზარდაშვილი დაინიშნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის უფროსად ზურაბ გამეზარდაშვილი დაინიშნა. მან ამ თანამდებობაზე დავით ბედია ჩაანაცვლა, რომელიც აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს. როგორც „მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ზურაბ გამეზარდაშვილი ამ დრომდე იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროსად მუშაობდა. იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის პოსტზე კი, გამეზარდაშვილის პირველი მოადგილე ზაზა ჩუბინიძე დაინიშნა.

მედიანიუსი

# დღეს პარლამენტში ზურაბ აბაშიძეს მოუსმენენ

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისია დღეს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძის ანგარიშს მოისმენს. როგორც „მედიანიუსს“ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოში განუცხადეს, დეპუტატები აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნიდან დღემდე მის მიერ გატარებულ საქმიანობაზე გაეცნობიან ინფორმაციას.

მედიანიუსი

# ოთარ ბაღათურიას ვარსკვლავი გაუხსნეს

ეკა ირემაშვილი




ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ საქართველოს დამსახურებულ არტისტს, რეჟისორსა და დრამატურგს ოთარ ბაღათურიას ვარსკვლავი საზეიმო ვითარებაში, „მრავალჟამიერისა“ და მხურვალე აპლოდისმენტების თანხლებით გაუხსნეს.

ვარსკვლავის გახსნამდე თეატრის დიდ სცენაზე გაიმართა თეატრალიზებული საღამო, რომელზეც რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ოთარ ბაღათურია შეკრებილი საზოგადოების წინაშე მსახიობის ამპლუაში წარდგა. მან სხვადასხვა სპექტაკლებიდან ნაწყვეტები შეასრულა.

ოთარ ბაღათურია წლებია ქართულ თეატრალურ სამყაროში მოღვაწეობს. თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მან საკუთარი შესაძლებლობები სხვადასხვა თეატრში მოსინჯა. მისი სევდიანი კომედია „მეფე ლირი თავშესაფარში“ საუკეთესო პიესად არის აღიარებული. ამ ნაწარმოებში დასმული პრობლემები აქტუალურია და დრამატურგი ხატავს არა მხოლოდ ჩვენს სოციალურ რეალობას, არამედ ადამიანის შინაგან ბუნებასა და სამყაროს. პიესა თითქმის ერთდროულად დაიდგა ახმეტელისა და მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრებში. მაყურებელმა ასევე იხილა ამავე პიესის ბათუმის თეატრისეული ინტერპრეტაციაც. იგივე პიესა თავად ოთარ ბაღათურიამ ლატვიის ქალაქ ვალმეირას დრამატულ თეატრში დადგა.

ოთარ ბაღათურია თავად იყო რეჟისორი და სცენარის ავტორი ფილმისა „ბოთე“. ის გადაღებულია ფილმებში „ციხესიმაგრე“, „მდგმურები“ და „ვერსათრიელა“. თავად კი ავტორია პიესებისა „ვინ დაიცავს დღეს ავი ლომისაგან ტყეს“, „ამიკო“, „საშობაო ზღაპარი“, „მეფე ლირი თავშესაფარში“.

ორიოდე წლის წინ რეჟისორმა ახმეტელის თეატრში დადგა სპექტაკლი „ჭურში?!..“, რომელიც საკუთარი პიესის მიხედვით განახორციელა.

ხელოვანის შემოქმედების თაყვანისმცემლები ამჯერად უკვე მოზარდ მაყურებელთა თეატრში შეიკრიბნენ, სადაც ოთარ ბაღათურიას ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილი ცერემონიალი ჩატარდა. საზეიმო ღონისძიების პარალელურად, კოტე ნინიკაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა წიგნი „ოთარ ბაღათურია“. როგორც საღამოზე წიგნის ავტორმა განაცხადა, ამ გამოცემის პრეზენტაცია სპეციალურად ვარსკვლავის გახსნისათვის დაიგეგმა.

თეატრის სცენაზე რეჟისორის გამოჩენას მაყურებელი მხურვალე ოვაციებით ფეხზე ამდგარი შეხვდა. რეჟისორმა გულწრფელი მილოცვებიც მრავლად მიიღო როგორც თავისი კოლეგებისგან, ასევე მეგობრებისგან, მსახიობებისგან, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებისა თუ რიგითი მაყურებლებისგან.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მმართველმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა განაცხადა:

– მას შემდეგ, რაც მან დრამატურგობა და რეჟისორობა დაიწყო და მოედო საქართველოს თეატრებს, მისი დადგმული სპექტაკლები და მისი პიესები უკვე ქართული თეატრალური მოვლენა და მისი კუთვნილება გახდა. ეს ვარსკვლავიც ამის ნათელი დადასტურებაა.

თავად ვარსკვლავოსანმა ხელოვანმა კი აღნიშნა:

– საოცარი დღეა. ემოციები არის ძალიან მოჭარბებული და საოცარი. ბევრი ჩემი ახლობელია მოსული და ძალიან მიხარია, სიტყვები არ მაქვს, ამდენი ხალხის სითბოსა და სიყვარულის შეგრძნება და გამხნევება საოცარია. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩათვალა, რომ ჩემთვის ვარსკვლავი უნდა გაეხსნა.

# ემიგრაციის მუზეუმში უხუცესი ქართველი ემიგრანტი გაიხსენეს

ეკა ირემაშვილი

ემიგრაციის მუზეუმში ვაშინგტონში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, უხუცესი ქართველი ემიგრანტის პეტრე ხვედელიძის დაბადების 95 წლისთავის აღსანიშნავი საღამო გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს ქართული კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებმა, ქართველ ემიგრანტთა ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა.

**ივანე ჯაფარიძე, საღამოს ორგანიზატორი:**

– საქართველოზე ფიქრში უმწიკვლოდ განვლილი გზა – უხუცესი ქართველი ემიგრანტი პეტრე ხვედელიძე 95 წლისაა – ასე ვუწოდეთ ჩვენ საღამოს, რომელიც მთლიანად ბატონ პეტრეს მიეძღვნა. ვაშინგტონში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს, უხუცეს ქართველ ემიგრანტს პეტრე ხვედელიძეს 25 ივნისს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა და ჩვენ, საქართველოში მცხოვრები მოქალაქეები, ვალდებულნიც კი ვიყავით, ეს საიუბილეო თარიღი სათანადოდ აღგვენიშნა, რადგან პეტრე ხვედელიძეს ერთი წამითაც არ უცხოვრია საქართველოსა და ჩვენზე ფიქრის გარეშე. ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ბატონმა პეტრემ თავისი დაბადების დღე აღნიშნა ვაშინგტონის სამხედრო ჰოსპიტალში მძიმედ დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებთან ერთად, რომლებიც სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსს იქ გადიან. ბატონი პეტრე ის პიროვნებაა, რომელიც, თავისი ასაკის მიუხედავად, თითქმის ყოველდღე აკითხავს ჩვენს ჯარისკაცებს და მორალურად თუ ფსიქოლოგიურად ამხნევებს, რწმენას უნერგავს მათ. როგორც ქართველი ემიგრანტი ნიკო თოფურია აღნიშნავდა, „ბატონი პეტრე ხვედელიძე ბიბლიური კაციაო“ და, თუ ბატონი პეტრეს ცხოვრებას თვალს გადავავლებთ, ეს სრული ჭეშმარიტებაა. დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ქართული ემიგრაციის სინდისს, ბატონ პეტრე ხვედელიძეს. ის – ომის მონაწილე და დაჭრილი, აი, ასე, ხელჯოხით ესტუმრება ხოლმე სამხედრო ჰოსპიტალში მყოფ დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებს, ამხნევებს და რწმენას უნერგავს მათ, რომ კიდურების გარეშეც შესაძლებელია ცხოვრება და კეთილ საქმეთა კეთება.

# ლივერპული აღშფოთდა

„ლივერპულის“ ხელმძღვანელობა აღშფოთებულია ლუის სუარესის ტრანსფერთან დაკავშირებით აგორებული ჭორების გამო. სუარესი, რომელიც ამჟამად ურუგვაის ეროვნულ ნაკრებთან ერთად კონფედერაციათა თასზე ასპარეზობს, მადრიდის „რეალის“ მთავარი სამიზნე გახდა და ფეხბურთელმა ღიად განაცხადა, რომ სიამოვნებით ითამაშებდა მადრიდელთა რიგებში.

ესპანური გაზეთების ცნობით, უკვე 4-წლიან კონტრაქტზეც კი შეთანხმდნენ. ამ ყველაფერმა „ლივერპულის“ ხელმძღვანელობა გააღიზიანა.

– ჩვენ კონფედერაციის თასის დასრულებას ველოდებით, შემდეგ გვინდა ვისაუბროთ ლუისთან და გავიგოთ რა სურს თავად ფეხბურთელს, ჩვენ არ დავთანხმებულვართ მადრიდელთა შეთავაზებას, რადგან გვინდა ჯერ ფეხბურთელს მოვუსმინოთ. აღვშფოთდით, რადგან ჟურნალისტებმა უკვე ფეხბურთელი მადრიდში გაუშვეს, თანაც ისე, რომ ჩვენ არაფერს გვეკითხებიან, ამას ლუისის განცხადებებიც მოჰყვა, რომელსაც თითქოს წასვლა სურს. პრობლემა ის არის, რომ ლუისი ამბობს, მას უყვარს „ლივერპული“, თუმცა შემდეგ მადრიდში გადასვლა უნდა. ჩვენ ვაპირებთ დაველაპარაკოთ ლუისს და საბოლოოდ გავერკვეთ სიტუაციაში, – აცხადებს „ლივერპულის“ ხელმძღვანელობა.

შეგახსენებთ, რომ მადრიდის „რეალი“ მზადაა 40 მილიონი გირვანქა გადაიხადოს ურუგვაელში, თუმცა მერსისაიდელები 47 მილიონად აფასებენ 26 წლის ფორვარდს, რომელმაც განვლილ სეზონში 51 შეხვედრაში 35 გოლი გაიტანა და 15 საგოლე პასი გააკეთა.

მ. ჟ.

# არტ გალერეაში ესმა ონიანის ნამუშევრებს გამოფენენ

ეკა ირემაშვილი

28 ივლისს თიბისი არტ გალერეაში მხატვარ ესმა ონიანის პერსონალური გამოფენა გაიხსნება. ის ქართული სახვითი ხელოვნების გამორჩეულ წარმომადგენლად არის აღიარებული.

– მხატვარი, პოეტი, ესეისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი იმ თაობას ეკუთვნის,

რომელმაც მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართულ თეატრში, კინოში, მწერლობაში და მხატვრობაში. აკადემიის დამთავრებისთანავე მუდმივად იფინებოდა როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, თუმცა სიცოცხლეში პერსონალური გამოფენა არ ჰქონია. ცნობილია, რომ ესმა ონიანის „დავით კაკაბაძის პორტრეტი“ მხატვართა კავშირმა წლის საუკეთესო ფერწერულ ნამუშევრად აღიარა. თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დასრულებისას მისმა სადიპლომო ნამუშევარმა „უფროსკლასელებმა“ უმაღლესი შეფასება მიიღო და გამოფენილი იყო მოსკოვში სსრკ სამხატვრო სასწავლებლების დიპლომატთა მეათე საკავშირო გამოფენაზე. მხატვარი მონაწილეობდა საკავშირო, ამიერკავკასიის მხატვართა, რესპუბლიკურ და საშემოდგომო და საგაზაფხულო გამოფენებში. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში დამდგმელ მხატვრად. შექმნა ილუსტრაციები ერლომ ახვლედიანის საბავშვო წიგნისთვის „ზარმაცი თაგუნას ამბავი“, იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის პედაგოგი, ასევე მხატვართა კავშირის წევრი, მიიღო მხატვართა კავშირის მედალი წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის „დავით კაკაბაძის პორტრეტი“. იაპონიაში ჩატარებულ გამოფენაზე მისი ნამუშევარი დაჯილდოვდა მედლით. მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენები სათავეს 2000 წლიდან იღებს. ესმა ონიანის ნახატები გამოიფინა ეროვნულ გალერეაში, თანამედროვე ხელოვნების გალერეაში, კავკასიურ სახლში და გალერეაში „ჰობი“. რაც შეეხება ჯგუფურ გამოფენებს, მისი ნამუშევრები ჩართული იყო როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ მოწყობილ გამოფენებში. ესმა ონიანის ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და ევროპის კერძო კოლექციებში. იგი სრულიად მოულოდნელად 61 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამჯერად ესმა ონიანის ნამუშევრები ჩვენს გალერეაში იქნება წარმოდგენილი, – აცხადებს თიბისი არტ გალერეის წარმომადგენელი ქეთევან მაღალაშვილი.

2013 წელი ესმა ონიანისთვის საიუბილეო წელია. მას წელს 75 წელი შეუსრულდებოდა. სწორედ ამიტომ თიბისი არტ გალერეა მხატვრის ნამუშევრების გამოფენას თავის სივრცეში ხანგრძლივად დატოვებს და თიბისი არტ გალერეაში ნახატების დათვალიერება ნებისმიერ მსურველს პირველ ოქტომბრამდე შეეძლება.

თიბისი გალერეა საქველმოქმედო ღონისძიებებსაც მართავს. დარბაზში გაიმართა კლასიკური მუსიკის საქველმოქმედო საღამო ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალთა მხარდასაჭერად. საღამოში მონაწილეობდნენ ჯულიარდის კოლეჯის სტიპენდიატი, ახალგაზრდა მევიოლინე მარიამ მაჩაიძე და მისი მეგობრები, სადაც შესრულდა ბახის, პაგანინის, ბრამსის, ჯოისისა და გარდნერის ნაწარმოებები. ამ საღამოს მიზანს წარმოადგენდა ძუძუს კიბოს სკრინინგის აუცილებლობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, ადრეული დიაგნოსტიკის პოპულარიზაცია, ძუძუს კიბოთი დაავადებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო თანხის მოზიდვა.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეოკონტროლით. ფასი 1 000 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# ანჩელოტი რეალმა ოფიციალურად წარადგინა



„სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდის „რეალის“ ახალი მწვრთნელის, იტალიელი კარლო ანჩელოტის წარდგენა და პრესკონფერენცია გაიმართა. 54 წლის იტალიელი „რეალს“ სამი წლით ჩაიბარებს.

**ფლორენტინო პერესი:**

– კარლო ანჩელოტის უმაღლეს დონეზე მრავალი გუნდი გაუწვრთნია, თუმცა მისი ოცნება დიდი ხნის განმავლობაში მადრიდის „რეალის“ გაწვრთნა იყო. ერთხელ მე მას ვუთხარი, რომ ეს ნატვრა აუხდებოდა და აი, ეს დღეც დადგა.

**კარლო ანჩელოტი:**

– მოხარული ვარ, რომ ჩავიბარე მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული კლუბი. მოხარული ვარ, რომ ვიქნები მადრიდის „რეალის“, სამეფო კლუბის მთავარი მწვრთნელი. ვეცდები მაქსიმუმი გავაკეთო კლუბისთვის და მომდევნო სეზონი „რეალის“ სეზონი იყოს. წლების წინ, როდესაც მე სამწვრთნელო კარიერა დავიწყე ვთქვი, რომ ნეტავ ოდესმე მადრიდის „რეალი“ ჩამებარებინა. მე ვიყავი სხვა და სხვა კლუბში, მოვიგე სხვა და სხვა ტიტული და ახლა მე აქ ვარ, შეიძლება ითქვას რომ ოცნება ამისრულდა, მე „რეალი“ ჩავიბარე. აქ იმუშავეს ისეთმა მწვრთნელებმა, რომლებიც უდავოდ თავისი საქმის პროფესიონალები არიან, დელ ბოსკე, კაპელო, მოურინიო და სხვა მრავალი, ახლა მე ვარ აქ და ვიცი, რომ უდიდესი ზეწოლა იქნება ჩემზე, მზად ვარ ამ გამოწვევისთვის. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა მოვუხადო ფლორენტინო პერესს, რადგან მან ბევრი იმუშავა იმისთვის, რომ მე აქ ვყოფილიყავი. ყველა მინდა დაგარწმუნოთ იმაში, რომ ფლორენტინო პერესს მადრიდის „რეალი“ უყვარს და საუკეთესოს წოდების დასაბრუნებლად იგი ყველაფერს გააკეთებს. „რეალი“ ყველაზე პრესტიჟული კლუბია და ის როგორც ყოველთვის სანახაობრივი ფეხბურთის თამაშს გააგრძელებს. ჩემთვის ემოციური დღეა და ბედნიერებაა აქ ყოფნა. დღეიდან თავდაუზოგავი მუშაობა იწყება. გულშემატკივრებს დიდ სანახაობას და რაც მთავარია ტიტულებს ვპირდები. გარწუმნებთ ეს სეზონი „რეალის“ გაბრწყინების სეზონი იქნება. „რეალს“ არაჩვეულებრივი შემადგენლობა ჰყავს და სერიოზული ცვლილებები არ იქნება. გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომელი ფეხბურთელი დარჩება და რომელი წავა. უახლოს მომავალში გადავწყვეტთ ამ საკითხს.ჩვენი უპირველესი მიზანი ჩემპიონთა ლიგის თასის მოპოვებაა. ეს დიდი პასუხიმგებლობაა და ერთად, მოტივირებულები ყველაფერს შევძლებთ.

ანჩელოტიმ ასისტენტად ზინედინ ზიდანი დაასახელა, რომელმაც სამწვრთნელო მოღვაწეობის გულისთვის „რეალის“სპორტულ დირექტორობაზეც უარი თქვა.

– მოხარული ვარ, რომ ზინედინ ზიდანთან ერთად ვიმუშავებ. ის ფანტასტიკური ფეხბურთელი იყო და ახლა მწვრთნელობა გადაწყვიტა. ზინედინი ბრწყინვალე ასისტენტი იქნება. ერთი იმაზე მწყდება გული, რომ მოედანზე ვერ დაგვეხმარება.

რაც შეეხება „რეალის“ მეკარეს იკერ კასილასს, ანჩელოტიმ განაცხადა:

– იკერი ფანტასტიკური მეკარეა. ის გენიოსი და დიდი კაპიტანია, რომელიც უამრავი ჯილდოს მფლობელია. ფეხბურთის სამყაროსთვის ალბათ კასილასი ყველაზე დიდი საჩუქარია.

დასასრულს ანჩელოტიმ „ბარსელონაზეც“ ისაუბრა.

– „ბარსა“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნადია. მაგრამ „რეალს“ შეუძლია მას ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს. დარწმუნებული ვარ, ჩემი გუნდი გააუმჯობესებს თამაშს.

# ბრაზილია ფინალშია და მეტოქეს ელის

**ბრაზილია – ურუგვაი 2:1**

**ბელო ორიზონტე. გოვერნადორ მაგალაეში**

**1:0 ფრედი (41), 1:1 კავანი (48), 2:1 პაულინიო (86)**

მე-14 წუთზე, ფორლანმა ვერ გამოიყენა პენალტი

**ბრაზილია:** სეზარი, ალვესი, სილვა, ლუისი, მარსელო, გუსტავო, პაულინიო, ჰალკი (ბერნარდი 64), ოსკარი (ერნანეში 73), ნეიმარი (დანტე 90), ფრედი

**ურუგვაი:** მუსლერა, პერეირა, ლუგანო, გოდინი, კასერესი, გონსალესი (გარგანო 83), არევალო, როდრიგესი, კავანი, ფორლანი, სუარესი

ნახევარფინალურმა მატჩმა კონფედერაციათა თასზე მთლიანად გაამართლა მოვლენები. სამხრეთ ამერიკული გუნდების ჯახში უკომპრომისო ბრძოლას ელოდნენ, თუმცა არა ჩაკეტილ თამაშს და ასეც მოხდა.

გუნდებმა ღია, გახსნილი თამაში თავიდანვე დაიწყეს და უკვე მე-14 წუთზე ურუგვაიელებს წინ გასვლაც შეეძლოთ, თუმცა დიეგო ფორლანს 11 მეტრიდან დარტყმული ბურთი ჟულიო სეზარმა აუღო.

ამის შემდეგ მომენტები მაინც და მაინც არ იქმნებოდა, მაგრამ პენტაკამპეონებმა მაინც მოახერხეს ფერნანდო მუსლერას კარში გაეტანა გოლი. ნეიმარმა მეტოქის საჯარიმოში ორ მცველს დაასწრო, კარშიც დაარტყა, მაგრამ მუსლერას ვერ აჯობა, თუმცა დამატებაზე ფრედიმ ივარგა და ანგარიში გახსნა.




ანგარიში მეორე ტაიმის განახლებისთანავე გათანაბრდა. 48-ე წუთზე, ტიაგო სილვამ გუნდი ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო. ბრაზილიელმა ბურთის მოგერიების ნაცვლად, საჯარიმოში მყოფი მარსელოსთვის პასის გაკეთება გადაწყვიტა, მას კი კავანიმ დაასწრო და ზუსტი დარტმით სეზარს გაუტანა.

ამის შემდეგ ბრაზილიელებს ნამდვილ ლიდერად ნეიმარი მოევლინა, რომელსაც ბევრჯერ და მწარედ მოხვდა ფეხებში. სახიფათო მომენტებს ურუგვაიელებიც ქმნიდნენ, მაგრამ გოლის გატანას ვერც ისინი ახერხებდნენ.

ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ გუნდებს დამატებითი 30 წუთეული უნდა ეთამაშათ, მაგრამ ასე არ ფიქრობდა პაულიონიო. 86-ე წუთზე ნეიმარმა კუთხური მოაწოდა, პაულინიომ თავით ყველას აჯობა და ბრაზილია ფინალში გავიდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ნეიმარი

არ იფიქროთ, რომ ამ ფეხბურთელს რეკლამას ვუკეთებთ. ნეიმარს საფეხბურთო სამყაროში წარდგენა არ სჭირდება და აქამდე ჩატარებულ 4 მატჩში რომ ყველაზე გამორჩეული იყო – ფაქტია.

მართალია, ურუგვაის ნაკრებთან მას გოლი არ გაუტანია, მაგრამ 2 საგოლე პასი გააკეთა და ამის გარდა ძალიან ხშირად ამწვავებდა სიტუაციას ურუგვაიელთა კართან.

***მატჩის შემდეგ***

– ჩვენს წინაშე კონკრეტული ამოცანა იდგა – ფინალში გასვლა და ძალიან გახარებული ვარ, მიზანი რომ შევასრულეთ. ჩვენთვის აუცილებელი იყო გამარჯვება. სწორედ ასეთ თამაშებში ვსწავლობთ მოედანზე სწორად მოქმედებას. სხვაგვარად არ შეიძლება, რადგან მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატი გველის საკუთარ სამშობლოში და იქ ცუდად გამოსვლის უფლება არ გვაქვს. ახალგაზრდული გუნდი გვყავს და სწორედ ასეთი რთული თამაშები გვეხმარება ხასიათის ჩამოყალიბებაში. ძალიან ბედნიერი ვარ და სხვას ვერაფერს ვიტყვი. ვამაყობ ჩემი შეგირდებით, მათ მართლაც საოცრად ითამაშეს. რა თქმა უნდა გარკვეულ სირთულეებს განვიცდით, მაგრამ გულშემატკივრებისთვის ჩვენ მათ გადალახვას ვცდილობთ“ – განაცხადა სკოლარიმ.

# ირაკლი ძარია: ცოტა არ იყოს, გაგვიმართლა

„დინამოს“ ვებგვერდის რესპოდენტი თბილისური გუნდისა და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ირაკლი ძარია გახლავთ.

***– ჩემპიონატის და თასის გათამაშების შემდეგ სეზონი შენთვის არ დასრულებულა. ნაკრების თამაშები მოგიწია. დასვენება თუ მოასწარი ?***

– ძალიან კარგი სეზონი გვქონდა. პირველობაც მოვიგეთ და თასიც. სეზონი მაჟორულ ნოტაზე დავასრულეთ. შემდეგ ნაკრებში გამომიძახეს და როცა საქმე ეროვნულ გუნდს ეხება დაღლილობაც გავიწყდება. შენი ქვეყნის ნაკრებში თამაში ფეხბურთელის ოცნებაა. რამდენიმე თავისუფალი დღე მქონდა და ახლა ჩემს გუნდთან ერთად მომავალი სეზონისთვის ვემზადები. ასეთია ფეხბურთი და ჩვენი პროფესია.

***– ახალი სეზონისთვის მზადება როგორ მიდის?***

– ძალიან კარგი შეკრებაა. ყველა პირობა გვაქვს იმისათვის რათა გუნდი და თითოეული ფეხბურთელი სათანადოდ მომზადებული შეხვდეს ოფიციალურ თამაშებს. ისეთი სპარინგები გვაქვს ბევრი გუნდი ინატრებდა.

***– მაშინ კიევის „დინამოსთან“ და „შახტართან“ შეხვედრებსაც შევეხოთ.***

– კიეველებთან შეკრებაც ახალი დაწყებული იყო და წინა დღის ჩამოსულებიც ვიყავით და მაქსიმალურად ვერ წარმოვაჩინეთ თავი. „შახტართან“ უკეთესი თამაში იყო. ჩვენი გუნდის დღევანდელი ძალის გათვალისწინებით, ვფიქრობ შეგვიძლია მათთამ თანაბრად თამაში. მოსამზადებელია ეტაპია მათთვისაც და ჩვენთვისაც. „დინამოც“ დღეს თუ ხვალ ეგეთი დონის გუნდი უნდა გახდეს. ახლაც, ხელწამოსაკრავი გუნდი არავისთვის ვართ.

***– წილისყრის თემასაც ვერ ავუვლით გვერდს.***

– ცოტა არ იყოს გაგვიმართლა, ჩვენთვის სასურველი მეტოქე გვერგო, თუმცა ჩვენი მიზანი ჯგუფში მოხვედრაა და უფრო ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ სათამაშოდაც მზად ვიყავით და ვართ.

# გია ისიანი „ოლბორგის“ წარმომადგენლებს შეხვდა

შვეიცარიის ქალაქ ნიონში გამართულ ევროპის ლიგის კენჭისყრაზე გორის „დილადან“ მენეჯერი ბატონი გია ისიანი გახლდათ წარდგენილი, რომლის კომენტარიც დაბრუნებისთანავე კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**გია ისიანი:**

– ნიონში ჩატარებული კენჭისყრის შემდეგ შეხვედრა მქონდა „ოლბორგის“ სპორტულ დირექტორ ლონგე იაკობსენთან და კლუბის მენეჯერ ალან სკარდესთან. ვისაუბრეთ ჩვენი მომავალი შეხვედრების საორგანიზაციო საკითხებზე. იყო საუბარი სათამაშო ფორმებზეც.

მოგეხსენებათ, ჩვენ ხელშეკრულება გავაფორმეთ ფირმა „სალერთან“, რის შემდეგადაც საშინაო მაისურის ფერი იქნება ბორდოსფერი, საგარეო კი ცისფერი. ვისაუბრეთ კიდევ სხვადასხვა თემებზე.

მათ ინფორმაცია აქვთ ჩვენი კლუბის შესახებ, რადგან შარშან სწორედ დანიური „ორჰუსის“ ბარიერი გადავლახეთ. იციან, რომ ქართველები სტუმართმოყვარე ხალხია. საუბარში აღნიშნეს, რომ მათი ძირითადი თავდამსხმელი ჰელენიუსი გადავიდა ინგლისურ „ასტონ ვილაში“. „ოლბორგი“ ახალგაზრდული გუნდია და ჩვენის მსგავსად მაქსიმალურად ვცდილობთ მათ შესახებ მოვიპოვოთ დეტალური ინფორმაცია.

ცნობილი გახდა, რომ „ოლბორგი“ 2-დან 10 ივლისამდე შეკრებას გაივლის გერმანიაში, კერძოდ ჰოფენჰაიმში და ჩვენ ვეცდებით მივავლინოთ ჩვენი წარმომადგენელი მათი ერთ-ერთი ამხანაგური მატჩის სანახავად. მათ აღგვითქვეს დახმარება, რომ მოგვაწვდიან საკუთარ კლუბზე ინფორმაციას, რაც კოლეგიალურად მართებულად მიგვაჩნია. შევთანხმდით ერთმანეთში ვიდეოფირების გაცვლაზეც.

როგორც იცით, ჩვენ 30 ივნისს მივემგზავრებით თურქეთში ათდღიან შეკრებაზე, სადაც გავმართავთ 3 ამხანაგურ შეხვედრას: აზერბაიჯანულ „სიმურგთან“, ირანის ჩემპიონ „ესტეგლალთან“ და მესამე სპარინგის სავარაუდო მეტოქეები არიან რუსეთისა და თურქეთის პირველი ლიგის კლუბები და ასევე რუმინეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი გუნდი. ამ სამი მეტოქედან მთავარი მწვრთნელი თვითონ გადაწყვეტს მატჩს ვისთან ჩავატარებთ.

იმედი გვაქვს, რომ გუნდი ოპტიმალურ ფორმაში შეხვდება ევროპის ლიგის მატჩებს და კლუბისა და ქართული ფეხბურთის პრესტიჟს წარმატებით დავიცავთ.

# დინამოს აღორძინებას ვეტერანი დინამოელები იწყებენ

დიდუბეში მდებარე მძლეოსნობის მანეჟში ფიზკულტურული სპორტული კლუბ „დინამოს“ კრება გაიმართა. ეს კლუბი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სამართალმემკვიდრეა და უძველესი ტრადიციების მატარებელი.

კლუბი 1925 წელს დაარსდა და ხანგრძლივი დროის მანძილზე ქართული სპორტის ფლაგმანს წარმოადგენდა. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო და საკალათბურთო გუნდების წარმატებას რომ თავი დავანებოთ, „დინამოს“ წარმომადგენლებს უამრავი ოლიმპიური, მსოფლოსა და ევროპის ჩემპიონპრიზიორები ჰყავს აღზრდილი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „დინამომ“ მცირე ხნით გაძლო, შემდეგ კი „საღათას ძილით“ მიიძინა და ახლა ხელმეორედ იწყებს აღორძინებას.

„დინამოს“ აღორძინებას სათავეში ჩაუდგნენ გენერალური დირექტორი ნოდარ სირბილაშვილი, გამგეობის თავმჯდომარე ნიკა ივანიშვილი და სპორტული დირექტორი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, გურამ საღარაძე.

– ფიზკულტურული სპორტული კლუბი „დინამო“ ახალ ცხოვრებას იწყებს. დიდი მიღწევებისა და ტრადიციების მქონე ორგანიზაცია ცუდ დღეში იყო ჩავარდნილი და ახლა მეორე სუნთქვა გაეხსნა, – განაცხადა კრების დასაწყისში ნიკა ივანიშვილმა და დამსწრე საზოგადოებას თავმჯდომარედ სირბილაშვილის კანდიდატურა შესთავაზა.

დამსწრე საზოგადოება კი ისეთი იყო, ავ თვალს არ დაენახებოდა – ფეხბურთელები, კალათბურთელები, მოჭიდავეები, წყალბურთელები, მძლეოსნები. ამასთან, ყველა სახელიანი და ტიტულოვანი. კრების თავმჯდომარის არჩევის წინააღმდეგი არავინ წასულა.

სირბილაშვილმა მცირე რაკურსის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას „დინამოს“ მომავალსა და მის პერსპექტივაზე ესაუბრა.

**ნოდარ სირბილაშვილი:**

– ჩვენი „დინამოში“ მოსვლისთანავე ჩატარდა აუდიტი, რამაც გამოაჩინა, რომ კლუბის პერსპექტივები დაკარგული არ არის. ამასთან, სადღეისოდ საქართველოს ყველაზე მართებული იქნება კლუბურ სისტემაზე გადასვლა და ამ ყველაფრის აღორძინება „დინამოდან“ უნდა დაიყოს. ამის პრეცედენტი სწორედ ჩვენ უნდა შევქმნათ. „დინამო“ ძალიან ბევრ ქვეყანაშია და ყველგან საუკეთესოდ არის განვითარებული. ერთადერთი გამონაკლისი კი, საქართველოა. კლუბური სისტემის შემოღება აუცილებელიც არის, რადგან დღეს, საქართველოში სპორტსმენი დაუცველია და როდესაც ზურგს იურიდიული პირი გაუმაგრებს, გაცილებით მეტს შეძლებს.

რაც შეეხება დღევანდელი კრების მთავარ მიზეზს. სანამ ზოგადად საქმეზე გადავიდოდეთ, გვინდა „დინამოს“ წევრთა შემადგენლობის საკითხზე გესაუბროთ. საჯარო რეესტრში სირბილი და ზედმეტი დროის დაკარგვა რომ არ მოგვიწიოს, მისი წევრთა რაოდენობა დავტოვეთ უცვლელი და განისაზღვრება 45 ადამიანით.

მეორე საკითხია ვეტერან დინამოელთა კლუბის შექმნა, სადაც ნებისმიერ დინამოელს ექნება საშუალება მივიდეს, ისაუბრონ, თავიანთი აზრი გამოხატონ საქართველოში დღეს არსებულ მდგომარეობაზე სპორტის კუთხით და ეს აზრები და იდეები ჩვენამდე მოიტანონ. ეს იქნება თქვენი ზოგადი კონტროლი „დინამოს“ განვითარებაში.

უმთავრესი მიზანი კი სტრატეგიის შემუშავება და კონკრეტული ღონისძიებების გატარებაა. ჩვენი სურვილია „დინამო“ ისევ დაუბრუნდეს შსს-ს და წერილი უკვე მზად გვაქვს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან გასაგზავნად.

ასევე მზად გვაქვს წერილი თიბისი ბანკის ხელმძღვანელობასთან გასაგზავნად. „დინამოს“ წინა ხელმძღვანელობის უნიათო მუშაობის შედეგად, „დინამოს“ ოფისი თიბისი ბანკმა ვალში წაიღო და გვინდა ჩვენი ოფისის დაბრუნება. თუმცა, ეს გვინდა მოხდეს ცივილურად და კანონიერად. ფაქტია, შენობა უკვე ბანკს ეკუთვნის და თხოვნით მივმართავთ, რომ მისი დაბრუნების შემთხვევაში ვალს გადავიხდით.

ასევე წერილი გვინდა გავუგზავნოთ „დინამო არენის“ ხელმძღვანელობას. ჩვენ იქ 11 პროცენტი გვაქვს და ესეც ხელოვნურად დაქვეითებული, თორემ ჩვენი წილი 34 პროცენტით განისაზღვრებოდა. ჩვენი თხოვნაა, დაგვიბრუნონ რენტაბელობა, დანგრეული დარბაზები.

„დინამოს“ წინა ხელმძღვანელობამ ყველაფერი გაანიავა და გვინდა ჩვენი არსებული აქტივების დაბრუნება.

ეს აქტივები კი მართლაც ბევრია: საკალათბურთო კლუბი „დინამოს“ ისტორია, ამის ნათელი მაგალითია. გუნდი „დინამოს“ აღარ ეკუთვნის, რადგან საწვრთნელი ბაზა ვალში საქართველოს ბანკმა წაიღო, ხოლო კალათბურთის ფედერაციის ძალისხმევით, ის მხოლოდ ფურცელზე არსებობს და ჩვენ აღარ გვეკუთვნის. გუნდს ტრადიციული ლურჯი და თეთრი ფერების ნაცვლად, ნარინჯისფერი მაისურები აქვს. ბათუმში ჩვენ ვიყავით სტადიონის მეპატრონეები, რომელიც საერთოდ დაანგრიეს და მის ადგილზე სასტუმროა წამოჭიმული. ჩვენვე გვეკუთვნოდა ფოთის იახტ-კლუბი, ბაკურიანის სასტუმრო, ნორჩი დინამოელის სტადიონი, საჩოგბურთო კორტები, სადაც ამჟამად იუსტიციის სამინისტროა და უამრავი ასეთი სპორტული ნაგებობა, რომელიც განადგურებულია.

რომელ სპორტის განვითარებაზეა საუბარი, როდესაც არ იქნება ბაზები, სპორტული ნაგებობები, მწვრთნელები. სწორედ ამიტომ ვართ შეკრებილი, რომ სწორი გზა მოვძებნოთ „დინამოს“ ძველი დიდების დასაბრუნებლად.

დარბაზში მყოფი საზოგადოება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას დაეთანხმა და ზემოთ ნახსენებ წერილებს ხელი მოაწერეს. გარდა ამისა, აირჩიეს ვეტერან დინამოელთა კლუბის თავმჯდომარე – ოლიმპიური ჩემპიონი, ფეხბურთელი გელა კეტაშვილი. არც მის წინააღმდეგ წასულა ვინმე.

კრების შემდეგ სირბილაშვილს ქუთაისში არსებულ „დინამოს“ სტადიონზეც დავეკითხეთ, სადაც ახლა საშინაო მატჩებს ქუთაისის სარაგბო კლუბი „აია“ ატარებს. ბატონი ნოდარის თქმით, სტადიონი მათი საკუთრებაა და „დინამომ“ გამოიჩინა კეთილი ნება, რის შედეგად „აია“ 3 წლის მანძილზე იქ ითამაშებს. სწორედ ამ კეთილი ნების გამოხატვას ითხოს „დინამო“ იმ პირების მიმართ, რომელთაც წერილები დაეგზავნათ.

კომენტარები „დინამოს“ სხვა წარმომადგენლებმაც გააკეთეს.

**გურამ საღარაძე:**

– „დინამო“ ყოველთვის იყო ქართული სპორტის ფუძემდებელი და ასეთად უნდა დარჩეს. არ შემიძლის გულისტკივილი არ გამოვხატო სადღეისოდ ქართულ სპორტში არსებულ სიტუაციაზე. ამ დარბაზში მყოფ ხალხს თავისი საუკეთესო წლები აქვთ შელეულული ქართული სპორტისთვის და დიდი სახელიც მოუტანეს. ისინი უძველესი დინამოელები არიან და ახლა რომ „დინამოს“ სახელს ჩრდილი მიადგეს, მათი უპატივცემულობა იქნება.

**ნიკა ივანიშვილი:**

– არსებობს „დინამოს“ საზოგადოებათა საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც ჩვენც ვართ გაერთიანებული, მაგრამ ბოლო დროს ვერ მივდიოდით დინამიადებზე, რადგან საამისო სახსრები და საშუალება არ გვქონდა. ახლა უკვე უნდა დავიწყოთ ფიქრი, რომ ამ ყველაფერს არ ჩამოვრჩეთ. არადა, „დინამო“ ძალიან ბევრ ქვეყანაშია – რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა, ბულგარეთი, უნგრეთი, ხორვატია, გერმანია... „დინამოს“ საზოგადოებათა საკოორდინაციო საბჭოს მდივანი რუსია, რომელიც აპირებს ჩამოვიდეს 7 ივლიის თბილისის და მოსკოვის „დინამოს“ ამხანაგურ მატჩზე და ქართველი ვეტერანი დინამოელი ოლიმპიური ჩემპიონები დააჯილდოვოს.

კრების შემდეგ ა ლა ფურშეტიც გაიმართა, სადაც ყოფილმა სპორტსმენებმა ბევრი სახალისო ამბავი გაიხსენეს, ხოლო მიშა ჯოჯუამ და გურამ საღარაძემ ისეთი სიმღერა შემოსძახეს, ქართული ესტრადის მომღერლებს შეშურდებოდათ.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „ბათუმის პროკურორებმა დანაშაულები ჩაიდინეს“

გულიკო ბალაძე



„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ ბათუმში ბრიფინგი გამართა.

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ ბათუმის პროკურორის არსენ ხიჯაკაძისა და პროკურორ შოთა ხორავას პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.

ნიკოლოზ მჟავანაძე ბათუმის რაიონული პროკურორის არსენ ხიჯაკაძისა და პროკურორ შოთა ხორავას მიერ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე საუბრობს.

პროკურორების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო „უფლებადამცველთა გაერთიანება“ ამ დღეებში მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობის კონტროლისა და იუსტიციის სამინისტროში გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის სამმართველოში იჩივლებს.

ბათუმის რაიონული პროკურორის არსენ ხიჯაკაძისა და პროკურორ შოთა ხორავას წინააღმდეგ ნიკოლოზ მჟავანაძე განცხადებას შეიტანს, რომ მათ პასუხი აგონ კანონის წინაშე ჩადენილი კანონდარღვევებისთვის.

მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობის კონტროლისა და იუსტიციის სამინისტროში გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის სამმართველო პროკურორების მიერ ჩადენილ დანაშაულებს სწავლობს.

— ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი და სათანადო მტკიცებულებები, რომ ბათუმის პროკურატურის მაღალჩინოსნებმა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულები ჩაიდინეს, — აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

— სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც დაზარალებულად მარინა მჟავანაძე 2013 წლის 28 იანვარს იქნა ცნობილი, პროკურატურას დღემდე არაფერი გაუკეთებია. არადა, გამოძიებას დაზარალებულის მხარემ ყველა მტკიცებულება მიაწოდა, რაც საფუძვლიან ეჭვს ქმნის იმისას, რომ კერძო აღმასრულებელმა მაია ზოიძემ კანონის დარღვევით გაუყიდა უძრავი ქონება დაზარალებულ მარინა მჟავანაძეს, ვინაიდან მის მიერ დარღვეულია „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტის მე-14-7, 18, 15-2 მუხლები, — ამბობს ნიკოლოზ მჟავანაძე.

ნიკოლოზ მჟავანაძის მტკიცებით, დაზარალებული მხარის მიერ არაერთგზის განცხადებისა თუ საჩივრის შეტანისა, ბათუმის პროკურატურაში დამდგარიყო მაია ზოიძის პასუხისმგებლობის საკითხი, საქმეზე ზედამხედველი პროკურორი შოთა ხორავა და ბათუმის რაიონული პროკურორი არსენ ხიჯაკაძე სრული ინერტულობით პასუხობდნენ.

— გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვივარაუდოთ, რომ, გარკვეულ მიზეზთა გამო, ბათუმის პროკურატურიდან კერძო აღმასრულებელ ზოიძეს ხელს აფარებენ და თავგამოდებით იცავენ, — ამტკიცებს უფლებადამცველი.

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ იმედს გამოთქვამს პროკურატურის საპროკურორო საქმიანობის კონტროლისა და იუსტიციის სამინისტროში გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის სამმართველო ბათუმის რაიონული პროკურორის არსენ ხიჯაკაძისა და პროკურორ შოთა ხორავას წინააღმდეგ მალე დაიწყებს გამოძიებას და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს დასვამს.

# ჯემალ ჭკუასელი: „ვინ არის კრემლისიონი?!“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და კონცერტი ჩემი ვარსკვლავის გახსნასთან დაკავშირებით ჩატარდა, ახლა კი გახლდით ქუთაისში, სადაც არაჩვეულებრივი დახვედრა მოგვიწყვეს ქუთაისელებმა. სამწუხაროდ, ბევრი მსურველი გარეთ დარჩა, რადგან ჩვენს კონცერტზე დასწრება ყველამ ვერ შეძლო. დარბაზში ხომ იყო ანშლაგი, მაგრამ გარეთ არანაკლები ანშლაგი იყო, ყველა მსურველი ვერ დავაკმაყოფილეთ.

*— რატომ არ დაამატეთ კონცერტი?*

— ასე გადაწყვიტა მომწვევმა მხარემ — ქუთაისის მთავრობამ. რატომღაც ასე გადაწყდა. ჩვენ შარშანაც გვქონდა კონცერტი ქუთაისში. ჩამოიარა თურმე ამ პატივცემულმა, რა უნდა აქ „ერისიონის“ აფიშასო და სამჯერ ჩამოახსნევინა.

*— ვინ?*

— ვინ და სააკაშვილმა! მაშინაც იყო სავსე დარბაზი, უფრო სწორად, გადაჭედილი და ბილეთები არ იშოვებოდა. ბათუმშიც გვინდოდა კონცერტის ჩატარება, მაგრამ მაშინ ბათუმელებმა უკან დაიხიეს, „ერისიონი“ ოპოზიციაშიაო. ხელოვანი კაცი ქვეყნის ოპოზიციაში შეიძლება იყოს? რა ლაპარაკია ეს, ერთი მითხარით!

*— ქუთაისის კონცერტზე ახალი ნომრები დაამატეთ?*

— რა თქმა უნდა. არც ერთი ჩვენი კონცერტი არ ჰგავს ერთმანეთს. ხან შემადგენლობა იცვლება, ხან ვარიანტები. ღმერთს ვენაცვალე, საოცარი საგანძური გვაქვს და მრავალფეროვნება ყოველთვის შესაძლებელია. გვინდა, მსოფლიოში აღიარებული შედევრები გვქონდეს წარდგენილი, თან საქართველოს ყველა კუთხეს წარმოვადგენდეთ, ამიტომაც შეზღუდულები ვართ. მაგალითად, „წინწყარო“ გადასარევია, ყველას გვიყვარს, მაგრამ არ ჩაჯდა ჩვენს კონცერტში, ისე აეწყო პროგრამა. ისედაც ძლივს ვატევთ თითო ნომრით საქართველოს რეგიონებს. შედევრები ხომ უნდა აჩვენო უცხოელს? კარგი ქართველმა იცის, მაგრამ საზღვარგარეთ ყველაფერს ექცევა ყურადღება. უცხოელმა უნდა მოისმინოს და ნახოს, რომ ქართული ცეკვა და სიმღერა არის უნიკალური. იუნესკომ აღიარა, რომ ქართული სიმღერა არის მსოფლიო მუსიკალური აზროვნების შედევრი.

*— ხომ არ გეწყინათ, ქუთათურებმა „კრემლისიონი“ რომ გიწოდეს?*

— ვინ არის კრემლისიონი?! ამაზე გულიანად ვიცინე. მოგეხსენებათ ქუთაისელების იუმორი. ხალხი ბოდიშებს გვიხდიდა, უნდა გენახათ, დარბაზში რა ხდებოდა. ყველა ერთსა და იმავეს მეუბნებოდა, ესენი არიან ვიღაც სულელები, ვინც დედას 5 ლარად გაყიდისო. იცნობენ, ალბათ, ვინც ეს დაწერა, ვერ არიან დალაგებულები და, თქვენი ჭირიმე, არ გეწყინოთ, არანორმალურები არიანო. ის ხალხი არც პარტიაა, არც ვინმეს წარმოადგენენ ოფიციალურად, გიჟები არიან, ხან ვის დაუდგებიან გვერდით და ხანაც ვისო. თან მე არ ვიცი? დალოცვილი ვართ უწმინდესისგან, დალოცვილი ვართ ჩემი ხალხისგან და მეტი რაღა გვინდა? თანაც, განა შეიძლება, ყველას უყვარდე? ქუთაისი იმდენად იუმორისტული ქალაქია, ეს ყველაფერი იუმორში გავატარეთ. რომ მკითხეს, ასე რატომ დაწერესო, ვუპასუხე, ვინ არიან ეგენი, არ ვიცი, ჩვენ ვართ „ერისიონი“ და, ალბათ, ეგენი თვითონ არიან კრემლისიონი-მეთქი.

*— კიდევ სად გეგმავთ კონცერტების ჩატარებას?*

— 7 ივლისს გვაქვს კონცერტი დაგეგმილი ყვარელში. ამჯერად კახეთს უნდა ვესტუმროთ. ახლა კახელები უნდა გავახაროთ.

*— ეს თქვენი ტურნეა საქართველოში?*

— დიახ, როგორც კი გაჩნდა საშუალებები საქართველოში, რომ მიახლოებული იყოს ორიგინალ შოუსთან ჩვენი კონცერტები, მაშინვე დავიძარით, თუმცა ყველგან ვერ ვახერხებთ, მაინც ძალიან ძვირი ჯდება ეს ყველაფერი.

*— აგვისტოში აჭარის პიკია და ბათუმსაც ესტუმრებით?*

— არა, აჭარაში ვერ ჩავალთ გასტროლებით, იმიტომ რომ, აგვისტოში შვებულება გვაქვს და დასვენება გვჭირდება. სექტემბერში მივდივართ გრძელვადიანი გასტროლებით საზღვარგარეთ და ანსამბლს კარგი დასვენება სჭირდება. ხალხი თუ არ დავასვენეთ, არაფერი გამოვა. ჩვენ სულ ვმუშაობთ და მხოლოდ აგვისტოში ვისვენებთ. ასე გაუთავებლად მუშაობა რთულია, თან შენობაც არ გვიწყობს ხელს, არ არის იქ ისეთი პირობები, რომ მუშაობა ნორმალურად შეიძლებოდეს.

*— ალტერნატიულ შენობაზე რომ იყო საუბარი, ეს საკითხი როგორ გადაწყდა?*

— იყო საუბარი, მაგრამ არ გაკეთდა ჯერჯერობით. ბოლომდე არ არის მოგვარებული, გადასახურია და გასარემონტებელია მაგრად. როგორც იყო, ისევ ისე არის. ახლა რაღაცას გვპირდებიან და ჯერჯერობით არ ვლაპარაკობთ.

*— სად გაქვთ დაგეგმილი გასტროლები?*

— მივდივართ უკრაინაში, ბილეთებიც უკვე შეკვეთილია, შემდეგ არის ბალტიისპირეთი, შემდეგ შეიძლება რუსეთის რამდენიმე ქალაქში ჩავიდეთ, თუ არადა, ევროპის რამდენიმე ქვეყანასთან გვაქვს ლაპარაკი და, ვნახოთ, რა გამოვა.

*— მაინც რუსეთი?*

— რუსეთი გადაწყვეტილი არ არის, შეიძლება, სხვაგან მოგვიწიოს წასვლა.

*— კიდევ ხომ არ გეშინიათ ქართველი საზოგადოების რისხვის?*

— არა, არაფრის გვეშინია. ჩვენ ისრაელთანაც გვაქვს მოლაპარაკებები და შეიძლება, რუსეთი საერთოდაც გამოირიცხოს.

# „მე და შენი თავისუფლება“ სამხატვრო აკადემიაშია

ეკა ირემაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ისტორიულ შენობაში გამოფენა „მე და შენი თავისუფლება“ გაიხსნა.

როგორც სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელი ნათია პავლიაშვილი აცხადებს, მხატვრული ხედვა, რომელიც კულტურული სივრცის სავიზიტო ბარათი ხდება, განსაზღვრავს იმ ეპოქის სულიერ მისწრაფებებს, რაც შემდგომში გამომსახველობით ფორმებშიც აისახება. სწორედ გამომსახველობით ხერხებსა თუ საშუალებებში ჩადებულია ის მნიშვნელობა, რომელიც ეპოქალურ სააზროვნო პოზიციას გულისხმობს.

— შემოქმედებითი ჯგუფის მიერ, რომელშიც გაერთიანებული არიან სტუდენტები, მხატვრები, კურატორები, შემოთავაზებული გამოფენა „მე და შენი თავისუფლება“ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესის შემოქმედებითობისა და ზოგადად არტისტული სივრცისთვის შესატყვის კულტურულ პროცესად მიიჩნევა, სადაც ჩვენი ქვეყნის კულტურული პოლიტიკის მნიშვნელოვანი წახნაგი განისაზღვრება. გამოფენაში მონაწილე თითოეული სტუდენტისა თუ მხატვრის მიერ წარმოდგენილი ნამუშევარი, მისი ქმედების არეალი პირდაპირ საუბრობს მის არსზე. საგამოფენო კონვერტირებით შემოთავაზებული კონცეფციის ძირითადი მნიშვნელობა განიცდება, რაც, თავის მხრივ, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ისტორიული შენობის გადაუდებელ რეაბილიტაციას ითავსებს.

მისივე თქმით, გამოფენაში მონაწილეობენ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტები და მხატვრები სოფო ჩერქეზიშვილი, თამარ ბოჭორიშვილი, ციური ჩაჩუა, ნუკა მეგრელიშვილი, ინგა ბატატუნაშვილი, სოსო ქუმსიაშვილი, მარი გორჯოლაძე, შორენა ტატურაშვილი, თამარ ხმიადაშვილი, მარი ახობაძე, მერაბ დანელია, პაატა კოკაია, თეო კოხოძე, შალვა ხრიკული, კახაბერ ბერელიძე. გამოფენის კურატორები კი ნინო გუჯაბიძე და ალექსანდრა გაბუნია არიან.

სამხატვრო აკადემიაში წარმოადგინა თავისი პროექტი რომის აკადემიის პროფესორმა კლაუდიო ვანიონიმ. გამოფენა იტალიელმა დიზაინერმა სამხატვრო აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში მოაწყო, რომელიც არის ახალი ხედვა თანამედროვე დიზაინში.

— ამ სასწავლო წელს სამხატვრო აკადემიის პირველკურსელებისთვის რომის აკადემიის პროფესორმა კლაუდიო ვანიონიმ ჩაატარა უორქშოპი, რომელიც მოიცავდა ლექციებს, საუბრებს თანამედროვე დიზაინის შესახებ, კონკრეტული თემის ირგვლივ მუშაობასა და სტუდენტების მიერ ინდივიდუალური პროექტების შექმნას. საბოლოო ეტაპზე საუკეთესო პროექტები განხორციელდა, რომლებსაც კატალოგის სახით იქნა წარმოდგენილი. თანამედროვე დიზაინის შესახებ უორქშოპის სასწავლო საუბრები ოთხ ეტაპად მიმდინარეობდა, სტუდენტების მიერ ასისტენტთან ერთად საუკეთესო პროექტების განხორციელებას კი ორი თვე დასჭირდა. ამ პერიოდის მანძილზე უორქშოპის მონაწილე სტუდენტები სავალდებულო საგნებთან ერთად თანამედროვე

დიზაინის შესახებ იღებდნენ ინფორმაციას, დასავლური უმაღლესი სასწავლებლის მუშაობის პრინციპებს და დიზაინის სფეროში საკითხების სხვაგვარად, ახლებურად დაყენებას სწავლობდნენ, რაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სტუდენტების შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის. კატალოგში წარმოდგენილი სტუდენტების მიერ

განხორციელებული ნამუშევრების მიხედვით კარგად ჩანს შესანიშნავი შედეგები, რაც სამხატვრო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტებმა იტალიელ პროფესორთან ერთად მუშაობის შედეგად აჩვენეს. ჩვენ გულითად მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც უორქშოპის წარმატებით ჩატარებას შეუწყვეს ხელი, პირველ რიგში კი რომის აკადემიის პროფესორს, კლაუდიო ვანიონის, მის ასისტენტს, სამხატვრო აკადემიის პედაგოგს ნინო ქვრივიშვილსა და სამუშაო პროცესში მონაწილე სტუდენტებს ასეთი დაუზოგავი შრომისა და ინტერესისათვის, — განაცხადა ნათია პავლიაშვილმა.

სამხატვრო აკადემიაში შედგა პროექტის „ჰელფ თუ თინქ“ დასკვნითი გამოფენა, ფილმის პრეზენტაცია და კატალოგის პრეზენტაცია. პროექტი მოიცავდა უორქშოპების სერიას თემაზე: ოცნებების ქუდი.

— კლაუდიო ვანიონი რომის ხელოვნების აკადემიის დიზაინის პროფესორი და ხელოვნების პოპულარული უნივერსიტეტის პრეზიდენტია. ის, ამავე დროს, სტამბოლის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი და ხელოვნების აკადემიის ყოფილი რექტორია, — განმარტა სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელმა.

გამოფენა გამართა აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის მომსახურე ფერწერის მიმართულებამ სახელწოდებით „ტრანსფორმაცია“.

— ფერწერის მიმართულება ახორციელებს ფაკულტეტურ მომსახურებას სამხატვრო აკადემიის ყველა ფაკულტეტისა და მიმართულებისათვის, რომლის სასწავლო პროგრამები ფაკულტეტების და მათი მიმართულებების სპეციფიკის მოთხოვნების გათვალისწინებითაა შედგენილი. ექსპოზიციაზე გამოიფინა ყველა ფაკულტეტისა და მიმართულების საუკეთესო სტუდენტების ნამუშევრები და ის ორი კვირა გაგრძელდა. მას ხელმძღვანელობდა ფაკულტეტის პროფესორი ოთარ ჩაკვეტაძე, — ამბობს სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელი.

დავით ალექსიძის სახელოსნომ კი წარმოადგინა გამოფენა „ჩემი ფანჯრის წინ“, რომლის კონცეფციასაც წარმოადგენდა — ის, რასაც ვხედავთ, ვერ ვხედავთ, მაგრამ ვგრძნობთ. მასალა — ტილო, ზეთი. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს ფერწერის მაგისტრანტებმა მარი ახობაძემ, შორენა ტატურაშვილმა, თამო ხმიადაშვილმა, ანდრია დოლიძემ, კოტე კაკაბაძემ, გიორგი სალინაძემ. პედაგოგებმა ოლეგ ტიმჩენკომ და სოფო ჩერქეზიშვილმა.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში ევროპის კვირეულთან დაკავშირებით გაიმართა პლაკატის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 30 სტუდენტის 50-მდე ნამუშევარი.

— წარმოდგენილი ნამუშევრები გამარჯვებულები არიან ისეთ საერთაშორისო დონის კონკურსებზე, როგორიც არის „ყვითელი ფანქარი“. თემები, რომლებიც გადმოცემულია პლაკატებით, სტუდენტებმა დღევანდელი საზოგადოების რეალობიდან გამომდინარე აიღეს და გადაიტანეს პოსტერებზე, ეს თემებია: გენდერი, პოლიტიკა, სოციალური საკითხები. ეს გამოფენა გამოირჩეოდა იმით, რომ სამხატვრო აკადემიის ბაზაზე შექმნილი პლაკატის სახელოსნოს სტუდენტებმა, სრულიად განსხვავებული ხედვით წარმოაჩინეს თავისი ნამუშევრები. ეს არის ახალი ხედვა, არასტანდარტული, თანამედროვე და მაღალი პროფესიონალიზმში, — აღნიშნა ნათია პავლიაშვილმა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 2. აბანოს თანამშრომელი; 3. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 4. პლანეტის თანამგზავრი; 7. ცნობილი ფინელი კომპოზიტორი; 8. ძალიან ბნელი, უკუნეთი; 12. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 14. ენისა და ლიტერატურის მკვლევარი მეცნიერი; 16. ქანების სანგრევი, ორი წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 17. ძვირფასი სარეწაო თევზი; 19. მდინარე სანკტ-პეტერბურგში; 20. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული.

**თარაზულად**: 5. აფრიკის სახელმწიფო სამხრეთ როდეზიის დღევანდელი სახელწოდება; 6. წყლის საათი; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 10. ღვინის ვაჭარი ძველად; 11. პურეული მცენარე; 13. ღვინის დანალექი; 15. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 18. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 21. ქალ-ვაჟის შეუღლება კანონიერი გაფორმებით; 22. ორაზროვანი გადაკრული სიტყვა; 23. ძველი ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დეპორტი; 2. აურა; 3. მეოხი; 4. ორვილე; 6. რუზველტი; 9. ლევილი; 13. ჯორჯონე; 14. ფანდური; 15. დენევი; 17. კანოე; 18. „სიონი“; 20. ლუდი.

**თარაზულად:** 1. დიადემა; 5. ტიბრი; 7. ქეიბური; 8. პორტალი; 10. ბრიზი; 11. ხავსი; 12. დივანი; 16. მაკეტი; 17. კროსი; 19. რიფი; 21. რეზონი; 22. შოპენი; 23. მიზერი; 24. ქიზიყი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ერებუსი; 2. ყეყეჩი; 3. ხონთქარი; 4. ბიპოლიდი; 7. ჩაინტაუნი; 8. კოლორიტი; 12. სალივანი; 14. ვალტორნა; 16. პორტერი; 17. „უნიკახა“; 19. მოლა; 20. ვონი.

**თარაზულად:** 5. ბრიატორე; 6. აკორდეონი; 9. „ლუგელა“; 10. ჩარექა; 11. ალაფი; 13. გაუდი; 15. მალიბუ; 18. მონჟი; 21. პრიმატორი; 22. ეკკომია; 23. „ბაკარდი“.

# ევროკავშირი რუსულ გაზზე დამოკიდებულებას თავს ვერ აღწევს



ევროკავშირის გეგმა თავი დააღწიონ რუსულ გაზზე დამოკიდებულებას „ნაბუკოს“ გაზსადენის პროექტის შეჩერებამ, უკან დახია.

„ობსერვერის“ ცნობით, ავსტრიულმა ფირმა „ომვ-მ“, რომელიც ნაბუკოს კონსორციუმის წევრია, 26 ივნისს განაცხადა, რომ აზერბაიჯანი ამის ნაცვლად მეტოქე „ტაპ-ის“(ტრანს ადრიატიკის გაზსადენი) გაზსადენს ირჩევს.

„აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის კონსორციუმმა შეგვატყობინა, თუ რომელ გზას ანიჭებდა უპირატესობას ევროპისათვის გაზის მიწოდებაში. ნაბუკო ვესტის პროექტი კონსორციუმს არ აურჩევია“,-საუბარია „ომვ-ის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ევროპის კომისიას განცხადებაზე კომენტარი არ გაუკეთებია და ისინი ბაქოს ოფიციალურ განცხადებას ელოდებიან, რომელიც სავარაუდოდ პარასკევს გაკეთდება. როგორც აღნიშნავენ ადრე მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ რომელი პროექტი აშენდებოდა, ვინაიდან ორივე მათგანი „სამხრეთ დერეფნის“ გეგმას წარმოადგენდა-ეს კი გულისხმობს კასპიის ზღვიდან გაზის ევროპისათვის მიწოდებას, რუსეთის გვერდის ავლით.

თუმცა, ახლა დიდ სხვაობაზე საუბრობენ – ტაპ-ი თურქეთის საზღვრიდან საბერძნეთს, ალბანეთს, იტალიაში ადრიატიკის ზღვას გაივლის. ნაბუკო ვესტი თურქეთიდან ავსტრიამდე ბულგარეთის, რუმინეთისა და უნგრეთის გავლით აღწევს. საბერძნეთი მოხმარებული გაზის 58%-ს რუსეთისაგან იღებს, იტალია კი-22%-ს.

თუმცა, რაც შეეხება ბულგარეთს ეს ქვეყანა 100%-ით არის დამოკიდებული რუსულ გაზზე, მაღალია ასევე უნგრეთისა(56%) და ავსტრიის(52%)დამოკიდებულებაც.

ორივე „ტაპიც“ და „ნაბუკო ვესტის“ იმაზე ბევრად პატარაა, ვიდრე ევროკავშირის თავდაპირველი ჩანაფიქრი „ნაბუკო კლასიკი“.

როგორც „ობსერვერი“ წერს, აზერბაიჯანის ავტორიტული ლიდერი შესაძლოა მის ბუნებრივ სიმდიდრეს ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკური დათმობისათვის იყენებს. ევროპის კომისიამ მაისში „სტრატეგიული მოდერნიზაციის პარტნიორობის“ შეთანხმების გეგმა მიიღო ევროკავშირის დედაქალაქებთან, რომელიც აზერბაიჯანისათვის პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, პრივილეგირებული სტატუსის მინიჭებას გულისხმობს.

ამასთან, აზერბაიჯანი „ტაპის“ კონსორციუმთან კონტრაქტის ხელმოწერას სექტემბერ-ოქტომბრისათვის გეგმავს-ამავე პერიოდს ქვეყანაში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნები ემთხვევა. როგორც ცნობილია, ილჰამ ალიევი მესამედ მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას.

ნაბუკო გაზსადენის მაგისტრალის პროექტია, რომელიც ცენტრალურ აზიას დააკავშირებს ევროპის ქვეყნებთან, რუსეთის გვერდის ავლით. გაზსადენის სიგრძე 3,3 ათასი კმ, საპროექტო სიმძლავრე – 26-32 მლრდ კუბომეტრი ბუნებრივი აირი წელიწადში. პროექტის ღირებულება 7,9 მლრდ ევრო იქნება.

# „სნოუდენის საკითხის გადაწყვეტას დიდი დრო დასჭირდება“



ეკვადორის ხელისუფლების განცხადებით, რომელთაც ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების გაქცეულმა თანამშრომელმა ედუარდ სნოუდენმა თავშესაფრის თხოვნით მიმართა, აღნიშნული საკითხის განხილვას კვირები, შესაძლოა თვეებიც კი დასჭირდეს. ამის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიკარდო პატინომ მაგალითად სკანდალური პორტალის „ვიკილიქსის“ დამაარსებლის ჯულიან ასანჟის საკითხი მოიყვანა. ასანჟის ეკვადორმა თავშესაფარი 2-თვიანი განხილვის შემდეგ მისცა. „შარშან ჩვენ ჯულიან ასანჟის საკითხს ორ თვეს განვიხილავდით და ახლაც არ უნდა ელოდოს საზოგადოება, რომ გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მივიღებთ“, – აღნიშნა რიკარდო პატინომ.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების ყოფილ თანამშრომელს ედუარდ სნოუდენს, რომელმაც ამერიკის სადაზვერვო სამსახურის საქმიანობის შესახებ საიდუმლო ინფორმაცია გაავრცელა, სახელმწიფო ღალატისა და ჯაშუშობის ბრალდებით, სასამართლომ დაუსწრებლად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა.

ედუარდ სნოუდენი ამ დრომდე რჩება მოსკოვის „შერემეტევოს“ აეროპორტის სატრანზიტო ფრენის ზონაში. ოფიციალური ვაშინგტონი დაჟინებით მოითხოვს სნოუდენის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაუყოვნებლის ექსტრადირებას.

რუსეთის პრეზიდენტმა უარი განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მოთხოვნაზე ამერიკული სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლის ექსტრადირებაზე და შეერთებული შტატების პრეტენზიებს აბსურდული უწოდა.

მისი თქმით, ამერიკის მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია, რადგან მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არ არის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმება ექსტრადირების შესახებ.

„ბატონი სნოუდენი ნამდვილად ჩამოვიდა მოსკოვში. ეს ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა იყო. ის, როგორც ტრანზიტული რეისის მგზავრი, ტრანზიტულ ზონაშია და ამ დრომდე რჩება იქ“, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა, რითიც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ედუარდ სნოუდენს მოსკოვი ამ დრომდე არ დაუტოვებია.

# ავსტრალიას ახალი პრემიერი ჰყავს



ოთხშაბათს ავსტრალიაში ვადამდელი შიდაპარტიული ხმის მიცემა გაიმართა, რასაც უნდა განესაზღვრა თუ ვინ უხელძღვანელებდა „ლეიბორისტულ პარტიას“. კევინ რუდმა 57 ხმა მიიღო, ჯულია გილარდმა კი-45, რის შემდეგაც გილარდმა პრემიერის თანამდებობა რუდს გადააბარა.

ავსტრალიის კანონმდებლობის თანახმად, გილარდმა განაცხადება გენერალ-გუბერნატორ კვენტინ ბრასის სახელზე დაწერა, სადაც საუბარია, რომ იგი პრემიერის თანამდებობას ტოვებს. ამის შემდეგ კი რუდმა ავსტრალიის პრემიერობის ფიცი დადო.

ქვეყანაში საყოველთაო არჩევნები 14 სექტემბერს არის დანიშნული-არსებული გამოკითხვებით, „ლეიბორისტულმა პარტიამ“ შესაძლოა წააგოს. რუდი მოსახლეობაში გილარდზე მეტი პოპულარობით სარგებლობს, რაც ზოგიერთს აფიქრებინებს რომ რუდის გაპრემიერებამ, შესაძლოა, პარტიის რეიტინგზე იმოქმედოს დადებითად.

ავსტრალიის სახელმწიფო მეთაური ბრიტანეთის მონარქია, რომელიც ქვეყანაში გენერალ-გუბერნატორის სახითაა წარმოდგენილი. 1999 წელს საყოველთაო რეფერენდუმის დროს ავსტრალიის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მხარი კვლავ მონარქიის ინსტიტუტის არსებობას დაუჭირა. ავსტრალიის პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან, წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან. პირველში სამი წლის ვადით 150 დეპუტატს ირჩევენ, სწორედ ამ პალატაში უმრავლესობის მქონე ლიდერი ხდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რომელიც სათავეში უდგას ავსტრალიის მთავრობას. სენატში ყოველი შტატი 12 სენატორით არის წარმოდგენილი, ტერიტორიები კი – ორ-ორი წევრით. სენატორთა არჩევის ვადა ექვსი წელია.

# ბარაკ ობამამ აფრიკული ტურნე სენეგალიდან დაიწყო



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა სენეგალში ჩავიდა და თავისი ერთკვირიანი აფრიკული ტურნე დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს. ობამა, ასევე, გეგმავს ტანზანიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონახულებას. ესაა რიგით მეორე ვიზიტი აფრიკის კონტინენტზე მას შემდეგ, რაც 2008 წელს ბარაკ ობამა ამერიკის პრეზიდენტად აირჩიეს.

ამ ვიზიტის მიზანს დემოკრატიის ხელშეწყობა და საინვესტიციო შესაძლებობების წახალისება წარმოადგენს. ბოლო პერიოდში კონტიტენს აგრესიულად შეუტია ჩინეთმა, რომელმაც ამერიკა ჩაანაცვალა და დღეისათვის აფრიკის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. ამასთან ჩინეთი მილიარდობით ინვესტიციას დებს აფრიკის ნავთობისა და სამთო მრეწველობის ფირმებში.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ვიზიტის სამზადისი, ყოფილი პრეზიდენტის ნელსონ მანდელას ავადმყოფობის ფონზე მიმდინარეობს. ჯერ-ჯერობით უცნობია, მოინახულებს თუ არა მანდელას ბარაკ ობამა. თეთრი სახლის ინფორმაციით. შეხვედრა შედგება თუ თავად ექს-პრეზიდენტი გამოთქვამს ასეთ სურვილს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი და ისტორიული ფიგურა ნელსონ მანდელა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო უკვე რამდენიმე კვირაა საავადმყოფოში იმყოფება.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# „კოჰაბიტაცია უნდა დასრულდეს“



გუშინ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ზესტაფონში არსებული პრობლემებზე ბრიფინგი გამართა, რომელსაც ესწრებოდნენ ზესტაფონის დაზარალებული მოსახლეობის წარმომადგენლებიც. ბურჯანაძის თქმით, ბოლო, რამდენიმე წელია საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ ადამიანებს ბევრი პრობლემა დაუგროვდათ. ამჯერად, ყურადღებას შევაჩერებ ზესტაფონის რაიონის, კერძოდ ზესტაფონის ბაზრის გარშემო არსებულ საკითხებზე. ეკონომიკური აქტივობის ეს მნიშვნელოვანი ცენტრი, რამდენიმე საეჭვო პირის ხელში აღმოჩნდა. აქ მომუშავე ადამიანებზე ძალადობენ. ისინი განიცდიან დამცირებას და შეურაცხყოფას. მათ, ძალის გამოყენებით ატოვებინებენ საკუთრებას და სამუშაო ადგილებს.

ბურჯანაძის თქმით, ზესტაფონში კოჰაბიტაციის მახინჯი ფორმა დაინერგა, ნაციონალების ყოფილ სახეებსა და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. მათი ეს კომფორტული თანაცხოვრება დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. ვერც ზესტაფონის ადგილობრივი და ვერც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ ხვდებიან, რომ ადამიანების ცემა და კერძო საკუთრების ხელყოფა დანაშაულია.

„მოვუწოდებ დღევანდელ ხელისუფლებას, დაინტერესდეს ზესტაფონის ბაზრის საკითხით, არ ენდოს მხოლოდ ერთ მხარეს და აუცილებლად მოუსმინოს ამ მოვლენებით დაზარალებულ ადამიანებს. ყველას, ვისაც ეს ეხება, მოვუწოდებ პატივი სცენ როგორც საკუთრების, ასევე ადამიანის უფლებებს და საკითხი სამართლიანად და გონივრულად გადაწყვიტონ. არ შეიძლება ხალხის სამუშაო ადგილებიდან გამოყრა და მათი საკუთრების ხელყოფა. მოვითხოვ ხელისუფლებისგან ნუ შექმნიან კიდევ ერთი უსამართლობის კერას ქვეყანაში. ჩვენ, ყველამ ერთად, სამართლიანობა უნდა აღვადგინოთ და არ შევუწყოთ ხელი ახალი უკანონობის დამკვიდრებას. თვალის დახუჭვა ამ საკითხების მიმართ არავის მოუტანს სიკეთეს. კოჰაბიტაცია უნდა დასრულდეს! სამართლიანობა უნდა აღდგეს! – განაცხადა ბურჯანაძემ ბრიფინგზე.

**მედიანიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

## პაატა გოროდინსკის დედის მწარე მოგონება



პაატა, შვილო, აუწერელია ეს ტკივილი და ეს ტკივილი შენ ხარ. 14 წელი გავიდა, რაც დედაშენს შენი ღიმილი და სახე არ დაუნახავს. მხოლოდ დარდი, ტკივილი და მონატრება დარჩა, რომელიც დიდი ტკივილით ბრუნდება უკან, რატომ?!

ერთ წამში გათავდა შენი სიცოცხლე, დედას კი ზღვა დარდი, ფიქრი და უაზრო ცხოვრება დარჩა. რამდენი წელია ჩუმად გელაპარაკები, აზრგამოუთქმელი წერტილებით...

შვილო, წლები ვერ დამავიწყებს შენს სახელს და ლამაზ სულს... სიკვდილი კი ხელშესახები გახდა. აღარაფერი შველის უშენობას და ჩემს მარტოობას. ვარ გამწარებული დედა, „მიუხედავად იმისა, რომ შენი საუკეთესო თვისება ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი იყო“.

ვიტანჯები შენი მონატრებით. მენატრება შენი დე-დედი! ვეძებ შენს სახეს ყველგან, რომელიც სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა. განსაკუთრებული იყავი ხასიათითა და კეთილშობილებით.

დედიკო, ჩაბნელებულია შენი სახლი, მიუხედავად იმისა, რომ მე სახლში ვარ, ფიქრებით კი შენთან – მუხათგვარდში.

შვილო, სხვადასხვა სივრცეში ვიმყოფებით, მაგრამ ჩვენ მუდამ ერთად ვართ. სულ თვალწინ მყავხარ.

დედაშენი ცოცხლობს იმიტომ, რომ გავახანგრძლივო შენი მოგონება, მეტი საფიქრალი მე აღარ დამრჩენია... მაგრამ მგონი დრო...

შენ მხოლოდ დედისთვის დრო გააჩერე, 34 წლისად დარჩენილო... ხანმოკლე აღმოჩნდა შენი ნავარდი.

მინდა ვირწმუნო, რომ შენი ლამაზი სული უფლის სასუფეველშია, სადაც მარადიული ნეტარებაა.

*შენგან გამწარებული დედა ღუღუნი*

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ავთანდილ სამხარაძეს სიმამრის

**შალვა ნესტორის ძე ფარულუას**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 27, 28 ივნისს.

დაკრძალვა: 29 ივნისს.

მისამართი: ქ.ზუგდიდი, ტოლსტოის 30.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 28 ივნისი

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.35 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა„ 17.00 „საუკუნის პორტრეტები„ 17.30 „ეთნოგრაფიული ჩანახატები„ 18.00 დ/ფ „ეგვიპტიდან„ 19.05 ტ/სერ „ნუ შეწყვეტ ოცნებას„ 21.00 „აქცენტები„ 22.00 ტ/სერ. „ნიკიტა„ 23.00 „წითელი ზონა„ 00.00 მხ/ფ „ცის ქუხილი„ (ჟ.გაბენი) 01.30 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 21.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 10.30 „არგუმენტების დრო„ (ხუთშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) (პ/ე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 იმედის გმირები (გ/ჩ) 15.15 რომ გადახვალ„ გააჩერე (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ. „კაშკაშა ვარსკვლავი„ (ე.კორნიში)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ანთიმოზ ივერიელი„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მოკ/ფ „სამი ამბავი ტელეფონით„ 11.05 ისტორიის გაკვეთილი 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ჩარირამა„ 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.10 საუბრები ლიტერატურაზე 16.40 კონცერტი - საგუნდო მუსიკის ფესტივალი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ/ფ „მაცივარში ვიღაც იჯდა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავეებთან 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

მაესტრო

7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 11.00, 22.20, 1.30 „მაგთიფანი„ 11.30 აბები (გამ.) 12.50, 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 16.00 სერიალი „შტორმი„ 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „1001 ღამე„ 22.00, 0.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**28 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6509

ევრო — 2,1498

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5358

100 რუსული რუბლი — 5,0198

## ამინდის პროგნოზი 28 ივნისისთვის





# მალე! მალე! მალე! მალე! მალე! მალე!

## სერია „ეს სამყაროა“ „ახალ თაობასთან“ ერთად



გამოგონებები | რაინდები და ციხე-კოშკები | მწერები და ობობები | მფრინავები | ოკეანეები | პოლარული სამყარო | რეპტილიები | ტროპიკული ტყეები | ზვიგენები

# მ ა ლ ე !

## ლეგენდარული „მგლის ბილიკი“ „ახალ თაობასთან“ ერთად


# ჯემალ ჭკუასელი: „ვინ არის კრემლისიონი?!“

ეკა ირემაშვილი

ანსამბლმა „ერისიონმა“ ოზურგეთის შემდეგ თავისი შოუ ქუთაისში ჩაიტანა და ჯემალ ჭკუასელის 78 წლის იუბილესადმი დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში წარმოადგინა.

ქუთათურები „ერისიონს“ ორიგინალურად დახვდნენ — გააკრეს ტრანსფარანტები წარწერით „კრემლისიონი“, ხოლო კედლებზე ამოტვიფრულ მოცეკვავეებს ხელში ნამგალი და ურო დააჭერინეს. რთული სათქმელია, იუმორის ქალაქში ეს ყველაფერი მართლაც იუმორით გაკეთდა თუ ქუთაისელმა საზოგადოებამ დღემდე ვერ აპატია ჯემალ ჭკუასელსა და მის ანსამბლს რუსეთის დედაქალაქში კონცერტის ჩატარება.



„ერისიონის“ კონცერტმა ქუთაისში, როგორც მოსალოდნელი იყო, ანშლაგით ჩაიარა. თბილისში დაბრუნებული ჯემალ ჭკუასელი ამბობს, რომ „კრემლისონის“ ტრაფარეტს მასში გაბრაზება და გაღიზიანება სულაც არ გამოუწვევია, პირიქით, ეს ყველაფერი მან ქუთათურების ჩვეულ იუმორს დაუკავშირა.

**ჯემალ ჭკუასელი:**

— ჩვენ ვმოგზაურობთ საქართველოში და ვატარებთ კონცერტებს იმ შესაძლებლობებით, რა შესაძლებლობებიც არსებობს. ჩვენ უკვე ვიმყოფებოდით ოზურგეთში, სა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ვინ მიიღებს 3.500 ევროს?

ეკა ირემაშვილი

ვინ მიიღებს 3.500 ევროს? ამ სოლიდური ფულადი ჯილდოს მფლობელი საუკეთესო პიესის ავტორი გახდება. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა ევროპის ქვეყნების დრამატურგიული კონკურსის „საუბარი საზღვრების შესახებ“ პრესკონფერენცია.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, პროექტის ავტორი და საქართველოში პროექტის ოფიციალური წარმომადგენელი, დრამატურგი, რეჟისორი, დოქტორი კრისტიან პაპკე, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის პრეზიდენტი და დამფუძნებელი მანანა ანთაძე.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, კონკურსის მიზანია, გამოავლინოს საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესა, რომელიც მოგვიანებით დაიდგმება გერმანიის ნაციონალური თეატრის სცენაზე.

ევროპის ქვეყნების დრამატურგიული კონკურსი „საუბარი საზღვრების შესახებ“ 2005 წელს ავსტრიაში დაარსდა და ყოველწლიურად იმართება აღმოსავლეთი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. პროექტის ორგანიზატორია ავსტრიის ევროპული და საერთაშორისო საქმეთა ფედერალური სამინისტრო, ასევე პროექტის ავტორი და საქართველოში კონკურსის ოფიციალური წარმომადგენელი, დრამატურგი, რეჟისორი, დოქტორი კრისტიან პაპკე. ამ პროექტის პარტნიორია მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი, თბილისის საერთაშორისო თეატრის ფესტივალი და სამეფო უბნის თეატრი.

— ამ კონკურსის წესები და პირობები განთავსებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „განცხადებების“ დირექტორიაში. იმედს ვიტოვებთ, რომ ბევრი დრამატურგი მოისურვებს ამ კონკურსში მონაწილეობას და დაწერს პიესას, რომელიც ჯილდოს მფლობელი გახდება, — განაცხადა მანანა ბერიკაშვილმა.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას ცნობილი გახდა, რომ კონკურსს „საუბარი საზღვრების შესახებ“ საუკეთესო ქართული პიესის გამოსავლენად აცხადებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდთან ერთად.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ობამამ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად გეგმა წარმოადგინა




ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად გეგმა წარმოადგინა. აღნიშნული გეგმა ელექტროსადგურების ნარჩენების შეზღუდვას და ენერგეტიკის სფეროში „მწვანე“ ტექნოლოგიების მხარდაჭერას გულისხმობს.

იანვარში, ამერიკის პრეზიდენტად მეორედ არჩევის შემდეგ, სიტყვით გამოსვლისას ობამამ პირობა დადო, რომ კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლისათვის სიტყვებს საქმედ აქცევდა.

„როგორც პრეზიდენტმა, როგორც მამამ და როგორც ამერიკელმა მინდა ვთქვა, რომ მოქმედების დროა“,-აღნიშნა პრეზიდენტმა.

ექსპერტების ვარაუდით, ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა გამოიწვევს ზღვის დონის აწევას. გაიზრდება კატასტროფული კლიმატური მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე, შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება. შეიცვლება აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, შემცირდება მყინვარები, გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობები, გაიზრდება დაავადებათა რიცხვი.

ჯერჯერობით უცნობია დედამიწის რომელი რეგიონი უფრო მეტად დაზარალდება ამ ცვლილებების შედეგად. სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა კიოტოს ოქმს, რომელიც ატმოსფეროში სათბურის აირების გაფრქვევათა შემცირებას ისახავს მიზნად. თუმცა არ წყდება დებატები იმის შესახებ, თუ რა უფრო რაციონალურია: გლობალური დათბობის შეჩერების ან შემოტრიალების მცდელობა თუ ადაპტაცია არსებულ და მოსალოდნელ ცვლილებებისადმი.

გ. მ.

## ასტროპროგნოზი 28 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

**ვერძი** — დიდი ბედნიერება გელოდებათ! **კური** — ახალ ცხოვრებას იწყებთ, მოემზადეთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც გააკეთებთ. **კირჩხიბი** — სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ლომი** — მშვენიერი დღეა, ფულს შოულობთ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **სასწორი** — გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ვიტამინები. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ წარსულის მოგონებებს, რეალობა შეიგრძენით. **თხის რქა** — მადლიანი ხართ და დასაჩუქრდებით, მოემზადეთ სიახლისთვის. **მერწყული** — იყავით თვითკრიტიკული, ასე სხვები არ გაგაკრიტიკებენ. **თევზები** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, თავს ბედნიერად იგრძნობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. სტიბიუმის საბადო რაჭაში; 2. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 9. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. გემის სამზარეულო; 14. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 15. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 17. ბერების განცალკევებული სადგომი მონასტერში; 18. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. მდინარე კახეთში.

**თარაზულად**: 1. გერმანული მინერალური წყალი; 5. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 7. ხეხილის ბაღი; 8. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის კინოპრიზი; 10. ძველებური კაჟიანი თოფი; 11. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა; 12. კოსმეტიკური საცხი; 16. თონეში გამომცხვარი პური; 17. ბედ-იღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 21. ერთ-ერთი უძველესი ქართული დამწერლობა; 22. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 23. დაბალი, საამო ხმით მღერა; 24. ფენოვანი ქანი, იპობა, სკდება თხელ-თხელ ფირფიტებად.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# ზესტაფონელთა პროტესტი გრძელდება



საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ვებგვერდის ცნობით, კლუბის გულშემატკივრები დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ, მათი მოთხოვნა უცვლელია — ქვეყნის ხელისუფლებამ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ორგზის ჩემპიონთა ბანაკში შექმნილი ვითარების მიმართ ყურადღება გამოიჩინონ.

ზემოიმერული კლუბის მდგომარეობა თანდათან მძიმდება — საფეხბურთო კლუბის ფინანსურ ანგარიშებს უკვე ინკასო ადევს, კლუბის მთელი ქონება დატვირთულია იპოთეკით და კვლავაც გაურკვევლია კლუბის მომავალი. მარგველთა გულშემატკივრები და ზესტაფონის საზოგადოების წარმომადგენლები დღეს, 11:00 საათისთვის ქალაქ თბილისის სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-თან (ყოფილი სასტუმრო „აჭარა“) აპირებენ შეკრებას. რათა თავის პოზიცია ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე დააფიქსირონ.

მ. ჟ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი